

ანგარიშის ფორმა № 2

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
 ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

არჩილ უგულავა - პროფესორი,
 რამაზ ხომერიკი, - ასოცირებული პროფესორი,
 სიმონ ჩხაიძე-ასისტენტ-პროფესორი,
 ზაზა ტოკლიკიშვილი - ასისტენტ-პროფესორი,
 რომან აბრამიშვილი-დოქტორანტი,
 გიორგი მჭედლიშვილი - მოწვეული მასწავლებელი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი			

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	დინამიკა და თერმოდინამიკა მაგნიტურ ნაწილაკოვან სისტემებში #04/01	2016-2019	რამაზ ხომერიკი, ლაშა ტყემელაშვილი (თეორიული კვლევები)
2	ბარიერული ტიპის ტალღამტარული სისტემების და წრედების შექმნა მიკრო და მილიმეტრული დიაპაზონის ხელსაწყოებისათვის # 216662	2016-2018	რამაზ ხომერიკი (თეორია), ვახტანგ ჯანდიერი, გიორგი მილოშვეიჩი (სიმულაციები)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პირველ ყოვლისა ჩვენ გავაკეთეთ რიცხვითი სიმულაციები ერთგანზომილებიან სპინურ მოდელზე თერმოსტატის არსებობისას და გამოვითვალეთ რელაქსაციის დროები. ჩვენ შევამოწმებთ როგორ მუშაობს ეფექტური ერთგანზომილებიანი მოდელი. საქმე ისაა, რომ პატარა ნიმუშების შემთხვევაში ყველა-ყველასთან ურთიერთქმედების დაშვება შეიძლება შესწორებებს მოითხოვდეს. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა სამ განზომილებიან სისტემაზე რიცხვითი სიმულაციების ჩატარება, შედეგების შედარება ეფექტურ ერთგანზომილებიან მოდელთან და ექსპერიმენტისთვის რეალისტური პარამეტრების შეთავაზება.

2. პროექტის ფარგლებში ჩვენ შევისწავლით ბარიერული ტიპის ტალღამტარულ სისტემებსა და წრედებს როგორც ანალიზურად, ასევე რიცხვით, ექსპერიმენტულ შესწავლას და დამზადებას. ჩვენ განვიხილავთ ბარიერული ტიპის სისტემებს, რომლებიც შედგება დიელექტრიკულ გარემოში პერიოდულად ჩალაგებულ მეტალური და მაღალი დიელექტრიკული შეღწევადობის მქონე სვეტებისაგან. აღნიშნულ სტრუქტურას ექნება ფართო გამოყენება მიკრო და მილიმეტრული დიაპაზონის ხელსაწყოებში. პროექტის ფარგლებში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ზონური და ღრეჩული ფილტრების, წრიული რეზონატორების, სიმეტრიული და ანტისიმეტრიული ტალღამტარული სტრუქტურებისა და წრედების ანალიზს და მათ დამზადებას. ჩვენი პროექტის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს შემდეგში: ა) ჩვენ პირველად წარმოავადგენთ ღრმა ფუნდამენტურ ანალიზს ბარიერული ტალღამტარული სისტემებისა და წრედებისათვის; ბ) ჩვენ ვკმნით რიცხვით კოდს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი კონფიგურაციის მქონე ბარიერული ტიპის ტალღამტარული სისტემის და წრედის ანალიზი; გ) ჩვენ ვატარებთ დეტალურ ექსპერიმენტულ კვლევებს და დავამზადებთ მრავალ-ფუნქციონალურ, მცირე ზომის ბარიერული ტალღამტარულ სისტემებსა და წრედებს.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სოლიტონური გადართვები ფოტონურ და მულტიფეროიკულ ნანოსტრუქტურებში #FR/25/6-100/14	2015-2018	რამაზ ხომერიკი, არჩილ უგულავა, სიმონ ჩხაიძე (თეორია), ვახტანგ ჯანდიერი (სიმულაციები)
2	სოლიტონური ტრანსპორტი მაგნიტურ ნანონაწილაკოვან სისტემებში #04/24 მიმართულება: 1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი ქვე-მიმართულება: 1.3 ფიზიკური მეცნიერებანი	2016-2018	რამაზ ხომერიკი (თეორია, სიმულაციები)
<p>დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>1. ჩვენ ვიხილავთ ორ სუსტად ბმულ არაწრფივ ოსცილატორულ ჯაჭვს ლანდაუ-ზენერის ტუნელირების მექანიკური ანალოგის შესწავლის მიზნით. ჯაჭვების მასები თანდათან იკლებს (იმატებს) ზედა (ქვედა) ჯაჭვში. ეს მოდელი საშუალებას გვაძლევს განვაზოგადოთ ლანდაუ ზენერის ქვანტური ტუნელირების ეფექტი სოლიტონების ერთი ჯაჭვიდან მეორეში გადასვლისათვის. ნაჩვენებია, რომ სოლიტონის ტუნელირების მახასიათებლები არაწრფივ რეჟიმში მკვეთრად და დამოკიდებული სოლიტონის ამპლიტუდაზე. ტუნელირების თეორიის ეს მიდგომა დადასტურებულია სოლიტონურ ჯაჭვებზე პირდაპირი რიცხვითი სიმულაციების მეშვეობით.</p> <p>2. ჩვენ ვიკვლევთ სოლიტონების არსებობისა და გავრცელების შესაძლებლობას ფერმი-პასტა-ულამის არაპარამონიული ჯაჭვის შორსკმედ ვერსიაში, სადაც წრფივი ურთიერთქმედების წევრში ბმის კონსტანტა ხარისხობრივი კანონით კლებულობს. ჩვენ მივიღეთ ანალიზური მიახლოებითი გამოსახულება კონვერტული მოძრავი სოლიტონისთვის, რომელიც აღიწერება არაწრფივი შრედინგერის განტოლებით. შესაბამისი დისპერსიული თანაფარდობის არაანალიზური თვისებების გამო ჩვენ მოგვიხდა შეშფოთების თეორიის შექმნა სხვაობითი დიფერენციალური ოპერატორების გამოყენებით. ეს გარემოება აგრეთვე კრძალავს სტაბილური გრძელტალღოვანი კინკ-სოლიტონური ამონახსნების არსებობას, რაც მკვეთრად განსხვავდება ახლოქმედი ფერმი-პასტა-ულამის ჯაჭვის შემთხვევისაგან. ჩვენ წარმატებით დავამთხვეთ ანალიზური შედეგები რიცხვით სიმულაციებს შესაბამის მოდელზე.</p>			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის
---	--	--	---

	მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა		მითითებით)
1	ლოგიკური გეიტების განხორციელება ფოტონურ კრისტალურ და მულტიფეროიკულ ნანოსტრუქტურებში # STCU-2016-03 უკრაინის მეცნიერების და ტექნოლოგიების ფონდი, უკრაინა	2017-2019	რამაზ ხომერიკი, არჩილ უგულავა, ზაზა ტოკლიკიშვილი, ვახტანგ ჯანდიერი, სიმონ ჩხაიძე, კობა ხუციშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, თორნიკე ონოფრიშვილი
<p>აღნიშნულ პროექტში ჩვენ პირველად ვთავაზობთ არაწრფივ ბმულ ფოტონურ-კრისტალურ ტალღამტარების სისტემას როგორც რეალისტურ მოდელს ლოგიკური გეიტების შესაქმნელად. ლოგიკური გეიტები წარმოადგენენ ახალი თაობის ოპტიკური კომპიუტერის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ელემენტს, რომელთა საშუალებითაც ხდება სინგალის გადაცემა ციფრულ წრედებში. აღნიშნულ პროექტში ჩვენ ვაპირებთ ჩავატაროთ დეტალური თეორიული და რიცხვითი ანალიზი რამოდენიმე ბმული ფოტონურ-კრისტალური ტალღამტარის სისტემისათვის, როგორც ოპტიკური გეიტების რეალისტური მოდელისათვის. ფოტონურ-კრისტალური სტრუქტურის მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ იგი საშუალებას გვაძლევს წარმატებით მოვახდინოთ სხვადასხვა ოპტიკური ხელსაწყოების ინტეგრირება მხოლოდ ერთ ჩიპში, რაც საგრძნობლად ამცირებს წარმოების ხარჯებს.</p>			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					
3					

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	G. N. B. Chendjou, J. P. Nguenang, A. Trombettoni, T. Dauxois, R. Khomeriki, S. Ruffo (2018)	“Fermi-Pasta-Ulam chains with harmonic and anharmonic long-range interactions”, https://doi.org/10.1016/j.cnsns.2018.01.006	Commun. Nonlinear Sci. Numer. Simulat. 60 , 115.	Elsevier	6
2	Vakhtang Jandieri, Ramaz Khomeriki, and Daniel Erni	“Realization of true all-optical AND logic gate based on nonlinear coupled air-hole type photonic crystal waveguides” https://doi.org/10.1364/OE.26.019845	Optics Express Vol. 26, Issue 16, pp. 19845-19853	OSA, USA	8
3	L.Chotorlishvili, P.Zieba, I.Tralle, A.Ugulava	Zitterbewegung and symmetry switching in Klein’s four-group doi.org/10.1088/1751-8121/aa9a2c	Journal of Physics A. Mathematical and Theoretical. Vol.51,No 3, (2018), 035004, (14pp	IOP publishing	14
4	L. Chotorlishvili, X.-G. Wang, Z. Toklikishvili, J. Berakdar	Thermoelastic enhancement of the magnonic spin Seebeck effect in thin films and bulk samples DOI: 10.1103/PhysRevB.97.144409	PHYSICAL REVIEW B 97 , 144409 (2018)	USA American Physical Society	13
5	A. Ugulava, S. Chkhaidze, G. Mchedlishvili, R. Abramishvili.	Interpolation formula of magnetic nanofluids magnetization. (მიღებულია დასაბუქდად).	Nano Studies. International Journal of Nanosciences and Nanotechnologies, 2018	თბილისი, საქართველო	

6			GESJ: Physics, 2018, (მიღებული ა დასაბეჭდა დ).	თბილისი, საქართველო	
<p>ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>1. ნაჩვენებია, რომ სოლიტონის ტუნელირების მახასიათებლები არაწრფივ რეჟიმში მკვეთრად დადამოკიდებული სოლიტონის ამპლიტუდაზე. ტუნელირების თეორიის ეს მიდგომა დადასტურებულია სოლიტონურ ჯაჭვებზე პირდაპირი რიცხვითი სიმულაციების მეშვეობით.</p> <p>2. ჩვენ გავაკეთეთ რიცხვითი სიმულაციები ერთგანზომილებიან სპინურ მოდელზე თერმოსტატის არსებობისას და გამოვითვალეთ რელაქსაციის დროები. ჩვენ შევამოწმებთ როგორ მუშაობს ეფექტური ერთგანზომილებიანი მოდელი. საქმე ისაა, რომ პატარა ნიმუშების შემთხვევაში ყველა-ყველასთან ურთიერთქმედების დაშვება შეიძლება შესწორებებს მოითხოვდეს.</p> <p>3. როგორც ცნობილია, „კანკალის“ ტიპის მოძრაობა (zitterbewegung) წარმოადგენს რელატივისტური ელექტრონ-პოზიტრონული წყვილისა ან/და ელექტრონულ-ხვრელური წყვილის (ვიწრო ღრეჩოს მქონე ნახევარგამტარში) სწრაფ ოსცილაციურ მოძრაობას. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მოვახდინეთ zitterbewegung-ის კონცეფციის დაკავშირება სისტემის სიმეტრიის ცვლილებასთან. ამ მოვლენის ილუსტრაცია ჩვენ მოვახდინეთ კვანტური მათემატიკური საქანის მაგალითზე, რომელიც ხასიათდება კლეინის ოთხთა-ჯგუფის სიმეტრიით და, რომელსაც, თავის მხრივ, სამი ინვარიანტული ქვეჯგუფი გააჩნია. მისი შესაბამისი ენერგეტიკული სპექტრი დამოკიდებულია პოტენციური ბარიერის ენერგეტიკულ სიმაღლეზე, შეიცავს რა გადაგვარებულ და გადაუგვარებელ არეებს. ბარიერის სიმაღლის ცვლილება იწვევს სიმეტრიის ცვლილებას, ხოლო ის თავის მხრივ იწვევს „კანკალის“ ტიპის მოძრაობას. ჩვენ გამოვთვალეთ მოძრაობის სიჩქარის საშუალო კვადრატული ფლუქტუაცია, შევისწავლეთ რხევითი მოძრაობის სპეციფიური თვისებები დიდი კვანტური რიცხვების შემთხვევაში. ვაცვენეთ, რომ მიღებული შედეგები განუზღვრელობათათვის აკმაყოფილებენ ჰაიზენბერგის თანაფარდობას.</p> <p>4. არერთგვაროვანმა ტემპერატურის პროფილმა შეიძლება წარმოქმნას სუფთა სპინური დენი მაგნიტურ ნიმუშებში, როგორც ეს დამზერილია სპინურ ზეებეკის ეფექტში. დამატებით სითბურმა დეფორმაციებმა შეიძლება შეცვალოს სპინური დენი. ნაშრომში წარმოდგენილია მაგნონური სპინური ზეებეკის თეორია სითბურად აქტივირებულ მაგნიტოელასტიკური ეფექტების გათვალისწინებით. მიღებულია თერმულად აქტივირებული დეფორმაციის ტენზორის გამოსახულება. ეს შედეგები ჩვენ მივიღეთ სამგანზომილებიანი ნიმუშებისთვის და თხელი მაგნიტური ორგანზომილებიანი ფირებისათვის. წანაცვლების ვექტორი და დეფორმაციის ტენზორი სამგანზომილებიან შემთხვევაში ასიმპტოტურად იცვლება როგორც $u \propto \frac{1}{R^2}$ და $v \propto \frac{1}{R^3}$, ხოლო თხელ მაგნიტურ ფირებში როგორც $u \propto \frac{1}{R}$, $v \propto \frac{1}{R^2}$. თერმოელასტურმა დეფორმაციამ შეიძლება გამოიწვიოს მაგნონურ სპექტრში ღრეჩოს</p>					

შემცირება, რაც თავის მხრივ იწვევს მაგნონების რიცხვის გაზრდას, რომლებიც მომაწილებენ სპინურ ზეებეკის ეფექტში.

5. სუპერპარამაგნეტიზმი არის დამაგნიტების ფორმა, რომელიც დამახასიათებელია ფერო და ფერიმაგნიტური ნაწილაკებისათვის, თუ მათი ზომა იმდენად მცირეა, რომ ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთდომენიანი ნაწილაკები, როცა მათი დამაგნიტება მთელს მოცულობაში ერთნაირია.

თუ სუპერპარამაგნეტიკში შემავალი ნანონაწილაკები მიღებულია იოლი დამაგნიტების ღერძის მქონე ფერომაგნეტიკის ნანოსტრუქტურით, მაშინ ნანონაწილაკებსაც ექნებათ დამაგნიტების იოლი ღერძი, რომელსაც ანიზოტროპიის ღერძსაც უწოდებენ. ასეთი ნანონაწილაკების ანიზოტროპიის ენერგიას აქვს სახე

$$H_A(\theta) = A \sin^2 \theta, \quad (1)$$

სადაც A - ანიზოტროპიის კონსტანტაა, θ - კუთხეა მაგნიტურ მომენტსა და ანიზოტროპიის ღერძს შორის, $A = KV_m$, $m = |m| = M_s V_m$, K და M_s - შესაბამის სიდიდეთა სიმკვრივეებია, $V_m = \frac{f}{6} d_m^3$ - ცენტრალური მაგნიტური სფეროს მოცულობა, d_m - მაწილაკის "მაგმიტური დიამეტრი". ანიზოტროპიის ენერგიის არსებობამ შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს სუპერპარამაგნეტიკების მაგნიტურ თვისებებზე და ნანოსითხის დამაგნიტების პროცესზე.

როგორც ვიცით, პარამაგნიტური ნაწილაკების "იდეალური აირის" დამაგნიტება, რომელთაც არ აქვთ მაგნიტური ანიზოტროპიის ენერგია კარგად აღიწერება ლანჟევენის კლასიკური თეორიით:

$$M = N\mu L(B\mu / kT), \quad (2)$$

სადაც $L(x) = \coth x - 1/x$ - ლანჟევენის ფუნქციაა, N - ნაწილაკთა რიცხვი მოცულობის ერთეულში, μ - მაგნიტური მომენტი, k - ბოლცმანის მუდმივა.

ქაოსური ანიზოტროპიის ღერძების მქონე ნანონაწილაკთა სისტემის დამაგნიტება

მაგნიტურ ველში მაგნიტური ნანონაწილაკის ენერგია

$$H(\theta, \psi) = A \sin^2 \theta - E \cos(\theta - \psi), \quad E = mB, \quad A > 0, \quad (3)$$

სადაც ψ კუთხეა ანიზოტროპიის ღერძსა და მაგნიტური ველის მიმართულებას შორის. პირველი შესაკრები აქ გამოსახავს ანიზოტროპიის ენერგიას, ხოლო მეორე ურთიერთქმედების ენერგიას მაგნიტურ ველსა და მაგნიტურ მომენტს შორის.

ცნობილია, რომ ფხვნილოვან სუპერპარამაგნეტიკებში მაგნიტური ანიზოტროპია არ მოქმედებს დამაგნიტების პროცესზე (С. П. Губин, Ю. А. Кокшаров, Г. Б. Хомутов и др., Успехи химии 74, 539 (2005)). ამ ფაქტის ასახსნელად ჩვენს ერთ-ერთ შრომაში (А. И. Угулава, С. Г. Чхаидзе, З. Г. Ростомашвили, ФММ, 118(4), 352 (2017)) გათვალისწინებულ იქნა, რომ

განსახილველი სისტემის ენერგია დამოკიდებულია ორ კუთხურ ცვლადზე θ და ψ . ამ ცვლადების შემთხვევითობა განპირობებულია სხვადასხვა წყაროებით - ანიზოტროპიის ღერძების თავდაპირველი ქაოსურობით (კუთხე ψ) და სითბური ფლუქტუაციებით (კუთხე θ). ამაზე დაყრდნობით და დამაგნიტების საშუალო მნიშვნელობის გამოთვლის სტანდარტული მეთოდის გამოყენებით (როგორცაა ერთნაწილაკოვანი და მრავალნაწილაკოვანი სტატისტიკური ინტეგრალები, თავისუფალი ენერგია და სხვა) მივიღეთ სუპერპარამაგნეტიკის საშუალო დამაგნიტება

$$M = -\frac{\partial F_L}{\partial B} = NmL(b). \quad (4)$$

აქედან დასკვნა, რომ ანიზოტროპიის ღერძისა და მაგნიტური მომენტის ბრუნვის შემთხვევითი ხასიათი საკმარისი პირობაა იმისათვის რომ დამაგნიტება ხდებოდეს ლანჟევენის თეორიის მიხედვით. მაშასადამე, ლანჟევენის თეორია სამართლიანია იმ შემთხვევაშიც, როცა სისტემა შედგება ანიზოტროპიული ნაწილაკებისაგან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანიზოტროპიის ღერძები ინარჩუნებენ ქაოსურობას დამაგნიტების მთელი დროის განმავლობაში, როგორც ამას ადგილი აქვს ფხვნილოვან სუპერპარამაგნეტიკებისათვის. ასეთი "გაყინული" ქაოსური მდგომარეობა ხორციელდება იმიტომ, რომ ნაწილაკებს შორის არსებობს ხახუნის ძალები.

ნაწილაკთა სისტემის დამაგნიტება მექანიკური ანიზოტროპიის მდგომარეობაში

მაგნიტური ნაწილაკების შემთხვევაში ნაწილაკთა სისტემა აღარ არის "გაყინული" და ნაწილაკებს შეუძლიათ თავისუფლად ბრუნვა. შლიომისმა (М. И. Шлиомис, УФН 112, 3, 427 (1974) აჩვენა, რომ საკმაოდ ძლიერ მაგნიტურ ველში მაგნიტურ ნაწილაკებში მყარდება ე.წ. მექანიკური ანიზოტროპიის მდგომარეობა, რომლის დროსაც ყველა ნაწილაკის ღერძი მიმართულია ველის გასწვრივ ($\psi = 0$). ამრიგად ნაწილაკების დამაგნიტებისას ჩნდება განსაკუთრებული სიტუაცია: დამაგნიტების დასაწყისში ნაწილაკების ღერძები მიმართულია ქაოსურად, ხოლო დასასრულს კი ისინი პოლარიზებული არიან. ანიზოტროპიის ღერძების თანდათანობითი პოლარიზაციის გათვალისწინებაა სწორედ ამ ჩვენი ამოცანის ძირითადი მიზანი.

თუ $\psi = 0$, მაშინ ცხადია, რომ ჰამილტონიანს აქვს სახე:

$$H_f(\theta) = H(\theta, 0) = A \sin^2 \theta - E \cos \theta. \quad (5)$$

ისევე როგორც წინა შემთხვევაში დამაგნიტების შესასწავლად აქაც ვიყენებთ დამაგნიტების საშუალო მნიშვნელობის გამოთვლის სტანდარტულ მეთოდს და მაგნიტური პოლარიზაციისათვის $P_f = M/Nm$ ვღებულობთ:

$$P_f(a, b) = -\frac{b}{2a} + \frac{1}{2\sqrt{a}} \frac{2 \cdot \operatorname{sh} b}{e^b D(\sqrt{a} + b/2\sqrt{a}) + e^{-b} D(\sqrt{a} - b/2\sqrt{a})}. \quad (6)$$

მიღებული გამოსახულების ანალიზისათვის განვიხილოთ ზღვრული შემთხვევები. დოუსონის ფუნქციის ასიმპტოტური გაშლის გამოყენებით $D(x \gg 1) \approx \frac{1}{2x} + \dots$, ამ

გამოსახულებიდან ვღებულობთ:

1. დაბალტემპერატურულ მიახლოებაში (ძლიერი ველები $b \gg 1$)

$$P_f(a \gg b, b \gg 1) = 1, \quad (7)$$

რაც შეესაბამება დამაგნიტების ნაჯერ მდგომარეობას.

2. მაღალტემპერატურულ მიახლოებაში (სუსტი ველები $b \ll 1$)

$$P_f(a, b \ll 1) = \left[-\frac{1}{2a} + \frac{1}{2\sqrt{aD}(\sqrt{a})} \right] b \quad (8)$$

და 3. ღრმა ორმოს შემთხვევაში ($a \gg 1$)

$$P_f(a \gg 1, b) \equiv P_h(b) = \tanh b. \quad (9)$$

ამ ბოლო შედეგს აქვს მარტივი ფიზიკური ინტერპრეტაცია. როცა $a \gg 1$, მაშინ ნანონაწილაკები "შეზოჭილნი" არიან ორ პოტენციურ ორმოში ენერჯის მინიმუმების მახლობლად. ჩნდება ანალოგია ორდონიან კვანტურ სისტემებთან, რომელშიც როგორც ცნობილია დონეთა დასახლების სხვაობა განისაზღვრება ჰიპერბოლური ტანგენსით.

მაგნიტური ნანოსითხის ორკომპონენტური მოდელი და დამაგნიტების ინტერპოლაციური ფორმულა

მექანიკური ანიზოტროპიის მდგომარეობაში სისტემა შეიძლება იყოს მხოლოდ ძლიერ მაგნიტურ ველში. ნებისმიერი ველის შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ, რომ მაგნიტური სითხე შედგება ორი ნაწილისაგან (ორ თერმოდინამიკურ ქვესისტემისაგან), რომელთაგან ერთი შედგება ნაწილაკებისაგან ქაოსურად მიმართული ღერძებით, ხოლო მეორე ნაწილაკებისაგან, ორიენტირებული ღერძებით. პოლარიზაციის პროცესში მაგნიტური ველის მდოვრე ცვლილება იწვევს ნაწილაკების რიცხვის ცვლილებას ქვესისტემებში. ველის მოცემული მნიშვნელობისათვის ნაწილაკთა წონასწორული რიცხვი ქვესისტემებში მიიღწევა ქვესისტემათა პარციალური პოტენციალების ტოლობით

$$\tilde{\mu}_D = \tilde{\mu}_B, \quad (10)$$

სადაც

$$\tilde{\mu}_D = \frac{\partial F_D}{\partial N_D}, \quad \tilde{\mu}_B = \frac{\partial F_B}{\partial N_B}, \quad F_{D,B} = -kT \ln Z_{D,B}$$

$F_{D,B}$ - ქვესისტემების თავისუფალი ენერჯიაა, $Z_{D,B}$ - სტატისტიკური ინტეგრალები, N_B - ქაოსურად მიმართული, ხოლო N_D - მექანიკური ანიზოტროპიის მდგომარეობაში მყოფი ნაწილაკების რიცხვი ქვესისტემებში. დამაგნიტება ქვესისტემებში ხდება სხვადასხვა კანონით. ქაოსურად ორიენტირებული ნაწილაკები ემორჩილებიან ლანჟევენის თეორიას, ხოლო მექანიკური ანიზოტროპიის მდგომარეობაში მყოფი ნაწილაკები კი მაგნიტდებიან (6)-ს შესაბამისად. მაგნიტური ველის ცვლილებით იცვლება ნაწილაკთა რაოდენობა

ქვესისტემებში, მაგრამ მათი საერთო რაოდენობა არ იცვლება $N = N_D + N_B$. ყოველივე ზემოდ თქმულის გათვალისწინებით ნაპოვნია თანაფარდობა:

$$\frac{N_{D,B}}{N} = \frac{z_{D,B}}{z_D + z_B}. \quad (11)$$

ახლა უნდა ავაგოთ ინტერპოლაციური ფორმულა, რომელმაც უნდა მოგვცეს მაგნიტური ნანოსითხის დამაგნიტრბის სწორი შედეგები ორივე ზღვრულ შემთხვევაში. ცხადია, რომ ეს არ არის ცალსახა ამოცანა, მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ სწორად აგებულმა ინტერპოლაციურმა ფორმულამ სწორად უნდა აღწეროს დამაგნიტების მთელი პროცესი როგორც ხარისხობრივად ისე რიცხობრივად. ორკომპონენტიან მოდელებზე დაყრდნობით მაგნიტური პოლარიზაციისათვის შედგენილ იქნა ასეთი ფორმულა:


$$P_F(a,b) = \frac{N_B(a,b)}{N} L(b) + \frac{N_D(a,b)}{N} P_f(a,b). \quad (12)$$

სადაც

$$N_B(a,b) = N \frac{z_A(a) z_L(b)}{z_A(a) z_L(b) + z_D(a,b)},$$

$$N_D(a,b) = N \frac{z_D(a,b)}{z_A(a) z_L(b) + z_D(a,b)}. \quad (13)$$

ცხადი სახით ჩაწერილი ინტერპოლაციური ფორმულა (13)-ს გათვალისწინებით ძალიან მოუხერხებელია და აქ არ არის მოყვანილი. მოვიყვანთ მხოლოდ მის გრაფიკს. შედარებისათვის აქვე მოცემულია სხვა დამაგნიტების მრუდები, რომლებიც ხშირად გვხვდება პრაქტიკაში:



ნახ.1. მაგნიტური პოლარიზაციის მრუდები $P_L = L(b)$, P_f , P_F , და P_h , აგებული (13), (17), (19) და (22) ფორმულების მიხედვით მაგნეტიტისათვის Fe_3O_4 ($d_m = 11 \text{ nm}$, $a = 8.1$, $b = 78B$) და კობალტისათვის Co ($d_m = 7 \text{ nm}$, $a = 20$, $b = 64B$). $T = 300K$.

როგორც ნახაზიდან ჩანს, მაგნეტიტისა $P_F^{Fe_3O_4}$ და კობალტის P_F^{Co} ბაზაზე დამზადებული მაგნიტური ნანოსითხეების დამაგნიტების მრუდები მდებარეობენ ლანჟევენის P_L და ჰიპერბოლური ტანგენსის P_h მრუდებს შორის.

კიურის კანონი მაგნიტური ნანონაწილაკებისათვის

სუსტი ველების მიახლოებაში ($b \ll 1$) (8), (9), (16) და (23) გამოსახულებების საფუძველზე ნაწილაკთა რაოდენობისათვის ვლებულობთ:

$$N_B(a, b \ll 1) = N_D(a, b \ll 1) = 1/2.$$

მაშინ ინტერპოლაციური ფორმულიდან (22) და (18)-დან ვლებულობთ

$$P_F(a, b \ll 1) = \frac{1}{2} \left(\frac{1}{3} - \frac{1}{2a} + \frac{1}{2\sqrt{aD}(\sqrt{a})} \right) b. \quad (24)$$

(24)-დან გამოდის, რომ ნანოსითხის კიურის კონსტანტის (რომელიც განისაზღვრება გამოსახულებიდან $M = tCB$) როლს ასრულებს $C^* = tC$, სადაც

$$C = \frac{m^2 N}{3kT} \quad (25)$$

- ლანჟევენის თეორიის კიურის კონსტანტაა. ხოლო


$$t = \frac{1}{2} - \frac{3}{2} \left(\frac{1}{a} - \frac{1}{\sqrt{aD}(\sqrt{a})} \right) \quad (26)$$

- ორკომპონენტური მოდელის ინტერპოლაციური ფორმულიდან და ლანჟევენის თეორიიდან მიღებული კიურის კონსტანტების ფარდობა. როგორც (19)-დან ჩანს, t -ს მაქსიმალური მნიშვნელობა მიიღწევა როცა $a \gg 1$ და უდსრის $t_{\max} = 3$, ხოლო მინიმალური ტოლია $t_{\min} = 1$. ამრიგად, ანიზოტროპიის ენერჯიის არსებობას მივყავართ კიურის კონსტანტის ცვლილებამდე.

t კოეფიციენტის როლი შეიძლება გამომჟღავნდეს შემდეგ ექსპერიმენტულ სიტუაციაში. დავუშვათ, რომ გვაქვს ფხვნილოვანი სუპერპარამაგნეტიკი, რომლის დამაგნიტებაც ხდება ლანჟევენის თეორიის მიხედვით, ხოლო კიურის კონსტანტას აქვს (25) სახე. მაშინ კოეფიციენტი $t = C^*/C$ გვიჩვენებს თუ რამდენჯერ იზრდება ფხვნილოვანი სუპერპარამაგნეტიკის კიურის ტემპერატურა, როცა მას ვასხამთ სითხეს და ის გადადის მაგნიტურ ნანოსითხეში.

6. ნანონაწილაკთა მაგნიტური ანიზოტროპიის ენერჯია შეიძლება წარმოვიდგინოთ სიმეტრიულად განლაგებული ორი პოტენციური ორმოს სახით, მაგნიტური ველის არარსებობის დროს, ნაწილაკები თანაბრად ნაწილდებიან ორმოებში და ორიენტირებული არიან საპირისპირო მიმართულებით. ფხვნილოვან ნიმუშებში, ბლოკირების ტემპერატურის ზევით, სხვადასხვა ორმოს ნაწილაკებს შორის ხდება ბარიერისზედა გადასვლები და შეიძლება წარმოიქმნას სუპერპარამაგნიტური მდგომარეობა, ხოლო ამ ტემპერატურის ქვევით ნაწილაკები "ბლოკირებული" არიან ორმოებში და ინარჩუნებენ ნაწილაკების თანაბარ განაწილებას ორმოებს შორის. მაგნიტურ ველში პოტენციური ორმოების კონტურები კარგავენ სიმეტრიულობას. წაინაცვლებს როგორც ბარიერის მდებარეობა, ასევე

ორმოების ფსკერი ერთმანეთის მიმართ. ბარიერის მარჯვნივ წანაცვლებისას,



მარცხენა ორმოში ჩნდება რაღაც არე ველის საწინააღმდეგოდ მიმართული ნაწილაკებისთვისაც, რომელიც შეივსება ამავე ორმოს ნაწილაკებით. შედეგად, მაგნიტური ველის ჩართვა იწვევს დამაგნიტებულობის შემცირებას. რაც შეეხება მარჯვენა ორმოს, ის ვიწროვდება და ამიტომ ნაწილაკები პერიფერიული არეებიდან გადადიან მარჯვენა ორმოს ცენტრისაკენ. ამ პროცესს მივყავართ მარჯვენა ორმოს უარყოფითი დამაგნიტებულობის ზრდამდე. ფხვნილოვანი ნიმუშების დამაგნიტების პროცესის შესწავლამ აჩვენა, რომ ბლოკირების ტემპერატურის ქვემოთ ხდება კიურის კოეფიციენტის დაახლოებით 0.66-ჯერ შემცირება მის ჩვეულებრივ მნიშვნელობასთან შედარებით, რომელიც მიიღება ლანჟუვენის თეორიით, ხოლო სუპერპარამაგნიტურ მდგომარეობაში გადასვლის დროს ბლოკირების ტემპერატურის ზევით, ხდება მისი დაახლოებით სამმაგი ზრდა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	არჩილ უგულავა	ნანონაწილაკების დამაგნიტებულობის პროცესის თავისებურებანი ბლოკირების ტემპერატურის ქვემოთ	12-15 თებერვალი 2018 წელი თსუ მეექვსე ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო

2	სიმონ ჩხაიძე	მაგნიტური ნანოსითხის დამაგნიტების ინტერპოლაციური ფორმულა	მეცნიერებებში
3	ზაზა ტოკლიკიშვილი	ორი სამდონიანი ატომის გადაბმულობის დინამიკა ნანომექანიკური რეზონატორის საშუალებით	
4	A. Ugulava, S. Chkhaidze, G. Mchedlishvili, R. Abramishvili.	Interpolation formula of magnetic nanofluids magnetization.	5th International Conference “Nanotechnologies” November 19 – 22, 2018, Tbilisi, Georgia (Nano – 2018).

1. ნანონაწილაკების მაგნიტური ანიზოტროპიის ენერჯია ქმნის სიმეტრიულად განლაგებულ ორ პოტენციურ ორმოს. მაგნიტური ველის არარსებობის დროს, ნაწილაკები თანაბრად ნაწილდებიან ორმოებში და ორიენტირებულნი არიან ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. ფხვნილოვან ნაერთებში, ბლოკირების ტემპერატურის ზემოთ, სხვადასხვა ორმოში მყოფ ნაწილაკებს შორის ხდება ბარიერსზედა გადასვლები და შეიძლება წარმოიქმნას სუპერმაგნიტური მდგომარეობა, ხოლო ამ ტემპერატურის ქვემოთ ნაწილაკები "ბლოკირებული" არიან ორმოებში და თანაბრად არიან განაწილებული მათში. მაგნიტურ ველში პოტენციური ორმოების კონტურები კარგავენ სიმეტრიულობას - წინაცვლებს როგორც თვითონ ბარიერი, ასევე ორმოები ერთმანეთის მიმართ. ბარიერის მარჯვნივ წინაცვლებისას მარცხენა ორმოში, რომელშიც ჩვეულებრივ ხვდებიან ველის მიმართულებით ორიენტირებული ნანონაწილაკები, ჩნდება რაღაც არე საწინააღმდეგო ორიენტაციის ნანონაწილაკებისთვისაც ამავე ორმოდან. საბოლოოდ მაგნიტური ველის ჩართვა იწვევს დამაგნიტების შემცირებას და არა მის ზრდას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება. მარჯვენა ორმო (რომელშიც ველის არარსებობის დროს ხვდებიან ველის საწინააღმდეგოდ ორიენტირებული ნაწილაკები) ვიწროვდება და ამიტომ ნანონაწილაკები პერიფერიული არიდან გადაადგილდებიან ამ ორმოს ცენტრისაკენ. ეს თავის მხრივ იწვევს მარჯვენა ორმოს ნაწილაკების უარყოფითი დამაგნიტების ზრდას. საბოლოოდ, ორივე ორმოდან ჩნდება ჯამური დამაგნიტება მიმართული ველის საწინააღმდეგოდ, რაც ტოლფასია კიურის უარყოფითი კონსტანტის გაჩენისა.

2. მაგნიტური ნანონაწილაკები ხასიათდებიან ორი ვექტორული სიდიდით - დამაგნიტების ღერძით და მაგნიტური მომენტით. სუსტი ველის მიახლოებაში დამაგნიტების პროცესის დასაწყისში) მაგნიტური ნანოსითხის ნაწილაკთა ანიზოტროპიის ღერძები მიმართულია ქაოსურად, ხოლო ძლიერი ველების შემთხვევაში ისინი პოლარიზებულნი არიან მაგნიტური ველის მიმართულებით მექანიკური ანიზოტროპია). პირველ ზღვრულ შემთხვევაში სისტემა მაგნიტდება ლანჯევენის მრუდის მიხედვით, ხოლო მეორე შემთხვევაში დამაგნიტების მრუდს განსხვავებული ფორმა აქვს, რომელიც ახლოსაა ჰიპერბოლურ ტანგენსთან. გარდამავალი პროცესის შესასწავლად ამ ორ ზღვრულ შემთხვევას შორის, ჩვენ გამოვიყენეთ ინტერპოლაციური თეორია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ნანონაწილაკთა ღერძების პოლარიზაციის თანდათანობით ზრდას დამაგნიტების პროცესში. ამ ნაშრომის ძირითადი იდეაა გარდამავალ პროცესში მყოფი მაგნიტური ნანოსითხის წარმოდგენა ორი მაგნიტოთერმოდინამი - კურ ქვესისტემად ნაწილაკთა ცვლადი რიცხვით (ორკომპონენტურიანი მოდელი): 1.) ნანონაწილაკთა ქვესისტემა ქაოსურად მიმართული ღერძებით და 2) ქვესისტემა ორიენტირებული ღერძებით. დამაგნიტების პროცესში ხდება გადასვლები პირველი ქვესისტემიდან მეორეში, ანუ ქაოსური ნაწილაკების რაოდენობის შემცირება და ორიენტირებულის გაზრდა. ქვესისტემებს შორის წონასწორობის პირობად შუალედური მაგნიტური ველებისათვის ითვლება პარციალური პოტენციალების ტოლობა. ამ მოდელის ფარგლებში მიღებულია მაგნიტური სითხის დამაგნიტების ინტერპოლაციური ფორმულა. ნაჩვენებია, რომ ინტერპოლაციური თეორიის დამაგნიტების მრუდი მდებარეობს ორ ცნობილ მრუდს შორის - ლანჯევენის მრუდსა და ჰიპერბოლური ტანგენსს შორის. ინტერპოლაციური ფორმულით გამოთვლილი კიურის კონსტანტა მაგნიტური ნანოსითხისათვის სიდიდით აღემატება თავის ჩვეულებრივ მნიშვნელობას, გამოთვლილს ლანჯევენის თეორიით.

3. ჩვენ ვსწავლობთ ორი სამდონიანი ატომის (აზოტი-ვაკანსიის დეფექტი ალმასის კრისტალში) გადაბმულობის დროში ევოლუციას. ეს ორი სამდონიანი ატომი ერთმანეთთან არის დაკავშირებული ორსიხშირიანი ნანომექანიკური რეზონატორის საშუალებით. დავთვალეთ რა უარყოფითობა როგორც გადაბმულობის ზომა,

ვნახეთ რომ ორ სპინს შორის გადაბმულობა განიცდის ოსცილაციებს დროში და შეიძლება მისი მანიპულირება სისტემის პარამეტრების ცვლილებით. დროში ევოლუციას ადგილი აქვს გადაბმულობის პერიოდულად ჩახშობას და შემდეგ კვლავ აღდგენას. იმისათვის რომ შეგვესწავლა კვანტური დეკორეცია ჩვენ გამოვიყენეთ ლინდბადის კინეტიკური განტოლება სიმკვრივის მატრიცისათვის. მიუხედავად ამოცანის სირთულისა, მოდელი ანალიზურად იხსნება გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით. ამ ამონახსნების საშუალებით შესწავლილია კვანტური დეკორეცის გავლენა გადაბმულობის დინამიკაზე

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			
2			
3			

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ანგარიშის ფორმა № 2

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის
დეპარტამენტი, ასტროფიზიკის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის
მითითებით

ნანა შათაშვილი, პროფესორი, ასტროფიზიკის კათედრის გამგე

ალექსანდრე თევზაძე (თსუ ასოც. პროფესორი)

ელენე უჩავა (თსუ დოქტორანტი)

ირაკლი ჯოხაძე (თსუ მაგისტრანტი)

მარიამ გოგილაშვილი (თსუ მაგისტრანტი აგვისტოს ჩათვლით)

ბექა მოდრეკილაძე (თსუ მაგისტრანტი აგვისტოს ჩათვლით)

ქეთევან კოტორაშვილი (თსუ სტუდენტი ბაკალავრიატში /
მაგისტრანტი სექტემბრიდან)

მარიამ ქავთარაძე (თსუ სტუდენტი ბაკალავრიატში / მაგისტრანტი
სექტემბრიდან)

გიორგი მეშველიანი (თსუ სტუდენტი ბაკალავრიატში /
მაგისტრანტი სექტემბრიდან)

თეონა გოცირიძე (თსუ სტუდენტი ბაკალავრიატში / მაგისტრანტი
სექტემბრიდან)

ნინო რევაზაშვილი (თსუ სტუდენტი ბაკალავრიატში)

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.1.1	დისკი-ჯეტის უნივერსალური მოდელი ფიზიკა - ასტროფიზიკა	2016 - 2020	ნ. შათაშვილი, ა. თევზაძე ი. ჯოხაძე მ. გოგილაშვილი ბ. მოდრეკილაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
<p>(1) შესწავლილია ჰიდროდინამიკური დისკი-ჯეტის სტრუქტურის ფორმირების ამოცანა ახალგაზრდა ვარსკვლავური ობიექტებისათვის (YSOs) ანალიზურ ბელტრამი-ბერბულის მოდელზე დაყრდნობით, რომელშიც გამოყებულია საკურა-სუნიავის ტურბულენტური სიბლანტის მიახლოება როგორც დისკის აკრეციის ძირითადი მიზეზი. ამისათვის ვიხილავთ სტაციონარულ ტურბულენტურ მდგომარეობას რომელიც კვლავს აკრეციის პროცესს და იწვევს კოლიმირებულ ჭავლურ გარედინებას. ამისათვის გამოვიყენეთ განზოგადოებული ტურბულენტურის სიბლანტის მოდელი. ამონახსნის მოძიება მოხერხდა ანალიზურად. ჩვენ მოვიძიეთ ამონახსნების სხვადასხვა კლასები, რომლებიც შეესაბამებიან სხვადასხვა ნიშნის ბელტრამის პარამეტრებს - მოიცავენ ციკლონურ და ანტიციკლონურ დინების გრიგალებს. ანალიზური ამონახსნების გამოყენება შესაძლებელია ახალგაზრდა ვარსკვლავების ჰიდროდინამიკური ჯეტების სხვადასხვა ფიზიკური მახასიათებლების ასახსნელად და დასაკავშირებლად ჯეტის ამოფრქვევის არეალის პარამეტრებთან. გაგზავნილია სტატია გამოსაქვეყნებლად ჟურნალში MNRAS:</p> <p>E. Arshilava, M. Gogilashvili, V. Loladze, I. Jokhadze, B. Modrekiladze, N.I. Shatashvili, A.G. Tevzadze. Formation of Hydrodynamic Jets from Protostellar Accretion Disks with Turbulent Viscosity, Monthly Not. Roy. Ast. Soc. (submitted).</p> <p>(2) გაკეთებულია წინასწარი კვლევები იონიზებული დისკი-ჯეტის სტრუქტურის ფორმირებისათვის და ნაჩვენებია, რომ მაგნიტური ველი ხელს უწყობს კოლიმაციას. ასევე განხილულია სუსტი რელატივიზმის მქონე დისკის შემთხვევა. შესწავლილ იქნა დამატებითი ეფექტების, როგორცაა მაგნიტური ველი, ორსითხოვნება და რელატივიზმი, როლი დისკი-ჯეტი სტრუქტურის ფორმირებაში. ნაჩვენებ იქნა მაკონტროლებელი პარამეტრების მუშაობის დიაპაზონები და აგებულ იქნა მაილუსტრირებელი გრაფიკები. ერთსითხოვან შემთხვევაში განხილულ იქნა როგორც კვაზი-კვლერული დისკის შესაბამისი სიბლანტის, ასევე რელისტური ტურბულენტური სიბლანტის დისკის შემთხვევები. იგეგმება ერთიანი მოდელის აგება და ილუსტრირება თხელი იონიზებული რელატივისტური ასტროფიზიკური დისკების ჯეტისა და ქარების ფორმირების ამოცანისათვის მომზადებულია სტატია გამოსაქვეყნებლად გასაგზავნად:</p> <p>M. Gogilashvili, I. Jokhadze, V. Loladze, N.I. Shatashvili, A.G. Tevzadze. Two-fluid MHD Description of Jets from Accretion Disks of YSOs, Phys. Plasmas (to be submitted in 2018).</p>			

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1,1,2	დინების დინამიკა და გრიგალური და წონასწორული მოვლენები მრავალკომპონენტური ასტროფიზიკურ პლაზმებში ფიზიკა - ასტროფიზიკა	2015-2020	ნ. შათაშვილი ა. თევზაძე, ი. ჯოხაძე ქ. კოტორაშვილი ნ. რევაზაშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
<p>(1) თსუ-ს სტუდენტთა საგრანტო დაფინანსების პროექტის „დიდ-მასშტაბიანი სიჩქარისა და მაგნიტური ველების გენერაცია/გამლიერება ვარსკვლავთა ატმოსფეროებში“ ფარგლებში განხორციელდა კვლევები მაგნიტო-სითხური ბმისას ორსითხოვან (გადაგვარებული ელექტრონების/პოზიტრონების და კლასიკური იონების) პლაზმაში სიჩქარისა და მაგნიტური ველების გენერაცია/აჩქარების შესწავლაზე შებრუნებული დინამოს მექანიზმით. ამისთვის ჩავწერეთ შესაბამისი დინამიური განტოლებები [მუხტის შენახვა, ნივთიერების შენახვა, იმპულსის შენახვა, მდგომარეობის განტოლება]; ფონურ მდგომარეობად განვიხილეთ ბელტრამი-ბერნულის წონასწორულ მდგომარეობები ორი (მრავალი) სითხისათვის და მოვიძიეთ დიდ-მასშტაბიანი მაგნიტური და სიჩქარის ველების გენერაციის/გამლიერების პირობები როგორც ელექტრონულ-იონურ პლაზმაში გადაგვარებული ელექტრონებით, ასევე ელექტრონულ-პოზიტრონულ (მცირე იონების მინარევით ან მათ გარეშე) გადაგვარებულ პლაზმაში ფონური ორმაგი ბელტრამის წონასწორობების მცირე შემფოთების შემთხვევაში. პროექტის ფარგლებში დამუშავდა 2 ქვე-ამოცანა: (1.1) დიდ-მასშტაბიანი სიჩქარისა და მაგნიტური ველების გენერაცია/გამლიერება ვარსკვლავთა ატმოსფეროში გადაგვარებული ელექტრონებით; (1.2) დიდ-მასშტაბიანი სიჩქარისა და მაგნიტური ველების გენერაცია/გამლიერება კომპაქტური ობიექტის გარე შრეში გადაგვარებული ელექტრონ-პოზიტრონული გაზით.</p> <p>დაწყებულია მუშაობა სამეცნიერო სტატიის გაფორმებაზე (K. Kotorashvili, N. Revazashvili, N. Shatashvili. Flow and Magnetic Field Generation in Degenerate Compact Object Atmospheres Due to Reverse Dynamo Mechanism), რომელშიც თეორიულ მოდელთან ერთად წარმოდგენილი იქნება ჩვენს მიერ მიღებული შედეგების შედარება რეალურ ობიექტებთან, მოცემული იქნება მაილუსტრირებული რიცხვითი თვლების შედეგები, ამისათვის მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა.</p> <p>ქეთევან კოტორაშვილმა გააკეთა მოხსენება „შებრუნებული დინამოს მექანიზმი კომპაქტური ობიექტების გადაგვარებულ ელექტრონულ-იონურ გარე-შრეში“ თსუ მეექვსე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი, თსუ, 11-12.07.2018 http://conference.sens-2018.tsu.ge/page/program/50</p> <p>ნინო რევაზაშვილმა გააკეთა მოხსენება „შებრუნებული დინამო კომპაქტური ობიექტების გადაგვარებულ ელექტრონულ-პოზიტრონულ გარე შრეში“ თსუ მეექვსე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი, თსუ, 11-12.07.2018 http://conference.sens-2018.tsu.ge/page/program/50</p>			

კომპაქტური ობიექტების/ვარსკვლავების რელატივისტური ორ-სითხოვანი გადაგვარებული ელექტრონ-პოზიტრონული მაგნიტოსფეროებისათვის აგებულ თეორიულ მოდელში გადაგვარებული რელატივისტური სითხის განტოლებებში ვითვალისწინებთ გრავიტაციულ და ბრუნვით ეფექტებს. ერთიანი ველი აგებულ იქნა მაქსველის ველის ტენზორისა და დინების ტენზორის საშუალებით გათვალისწინებულია გრავიტაციული მრუდი სივრცე-დროითი ეფექტები. მოხერხებული 3+1 დეკომპოზიციის საშუალებით გამოვიყენეთ აღნიშნული გადაგვარებული სითხის ფორმალიზმი სისტემის გრიგალური დინამიკის გამოსაკვლევად და გამოვიყვანეთ. რელატივისტური ბელტრამის პირობები ასეთი სისტემებისათვის, ასევე ბერნულის პირობა და ამპერის კანონი; ჩაწერეთ განტოლებები სფერულ კოორდინატებში და ავაგეთ კოდი რიცხვითი თვლების განსახორციელებლად.

მზადდება სტატია გამოსაქვეყნებლად:

Jokhadze, N.L. Shatashvili, A.G. Tevzadze, S.M. Mahajan. Fast Outflow generation in Compact Objects' Outer Layers with degenerate relativistic electron-positron plasma. MNRAS (in preparation).

ნანა შათაშვილიმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო კონფერენცია-ლონისძიებაზე „გაერთიანებული ICTP-IAEA -ის კოლეჯი პლაზმის ფიზიკაში (29.10 - 9.11 2018, აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი, ტრიესტი, იტალია)“ **Large-Scale Flow and Structure Formation in Stellar Atmospheres – II - დიდ-მასშტაბიანი დინებებისა და სტრუქტურების ფორმირება ვარსკვლავთა ატმოსფეროებში - II.**

<http://indico.ictp.it/event/8335/other-view?view=ictp timetable>

ირაკლი ჯოხაძემ გააკეთა მოხსენება და პოსტერი საერთაშორისო კონფერენცია-ლონისძიებაზე „გაერთიანებული ICTP-IAEA -ის კოლეჯი პლაზმის ფიზიკაში (29.10 - 9.11 2018, აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი, ტრიესტი, იტალია)“ **Large Scale Structure Formation in Pulsar Degenerate Relativistic Outer Layer - დიდ-მასშტაბიანი სტრუქტურების ფორმირება პულსარის გადაგვარებულ რელატივისტურ გარე-შრეში -** <http://indico.ictp.it/event/8335/other-view?view=ictp timetable>

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მიითითებით)
1.1.3	მაგნიტო-ჰიდროდინამიკური ბმები და რხევები ვარსკვლავების ატმოსფეროში ფიზიკა-ასტროფიზიკა	2015-2020	ნ. შათაშვილი ა. თევზაძე ე. უჩავა ქ. კოტორაშვილი მ. ქავთარაძე გ. მეშველიანი ნ. რევაზაშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
(1) შემოთავაზებულია ერთიანი მოდელი მზის ატმოსფეროში ჩაკეტილი ცხელი სტრუქტურების ერთდროული ფორმირებისა და გაცხელებისა 2-სითხოვან პლაზმურ დინებებზე დამყარებით. მოდელი გაფართოვდა ნეიტრალების - მესამე სითხის ჩართვით რაც უფრო რეალისტურია მზის ატმოსფეროს შემთხვევისათვის. მოძიებულია სხვადასხვა წონასწორული სტრუქტურების არსებობის პირობები და შედარებულია რეალურ ასტროფიზიკურ პირობებთან.			
მოდელის დეტალები მოხსენიებულ იქნება კონფერენციებზე:			
ნანა შათაშვილიმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო კონფერენცია-ლონისძიებაზე „გაერთიანებული ICTP-IAEA -ის კოლეჯი პლაზმის ფიზიკაში (29.10 - 9.11 2018, აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი, ტრიესტი, იტალია)“ Large-Scale Flow and Structure Formation in Stellar Atmospheres – I - დიდ-მასშტაბიანი დინებებისა და სტრუქტურების ფორმირება ვარსკვლავთა ატმოსფეროებში - I.			
http://indico.ictp.it/event/8335/other-view?view=ictp timetable			

მარიამ ქავთარაძემ გააკეთა მოხსენება „მაგნიტური მარყუჟების გაცხელება/ფორმირება მზის ატმოსფეროში ნაწილობრივ იონიზირებული აირის ეფექტების გათვალისწინებით“ **თსუ მეექვსე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი, თსუ, 11-12.07.2018** <http://conference.sens-2018.tsu.ge/page/program/50>

გიორგი მეშველიანმა გააკეთა მოხსენება „წონასწორული ჩაკეტილი სტრუქტურების ფორმირება მზის ატმოსფეროში ნაწილობრივ იონიზირებული აირის ეფექტების გათვალისწინებით“ **თსუ მეექვსე ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თბილისი, თსუ, 11-12.07.2018** <http://conference.sens-2018.tsu.ge/page/program/50>

(2) ჩატარდა კვლევები წონასწორული სტრუქტურების მოძიებაზე ასტროფიზიკურ პირობებში მაგნიტოჰიდროდინამიკური ბმების მოდელის გამოყენებით. განხილულია სპეციური სიტუაციები როდესაც ცხელი რელატივისტური დინება ურთიერთქმედებს ცივ გადაგვარებულ გაზთან. ნაჩვენებია, რომ რელატივიზმის ორი სხვადასხვა ბუნების ერთდროულად არსებობა გაერთიანებულ სისტემაში იწვევს ახალი მიკრო-მასშტაბების ფორმირებას და ამ მასშტაბების ასე ვთქვათ პაექრობას - იმის მიხედვით, თუ ლოკალურად რომელი რელატივიზმია ძლიერი გვექნება ენერგიების ტრანსფორმაციების სხვადასხვა სცენარი რაც საბოლოოდ გამოიწვევს ტრანზიენტული ჯეტებისა და დიდ-მასშტაბიანი მაგნიტური ველების ფორმირებას.

მზადდება სტატია გამოსაქვეყნებლად: **N.L. Shatashvili, S.M. Mahajan, V.I. Berezhiani. On the Relaxed States in the Mixture of Degenerate and Relativistically Hot Plasmas of Astrophysical Objects. *Astrophys. Space Sci.* (in preparation)**

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.1.4	კოსმოსური მაგნიტური ველების და ტურბულენტობის მოდელირება ფიზიკა - ასტროფიზიკა	2016-2020	ალექსანდრე თევზაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ადრეულ სამყაროში მაგნიტური ველის ევოლუციის თვისებები დამოკიდებულია კოსმოსური ტურბულენტობის თვისებებზე. ტურბულენტობის თვისებების შესასწავლად სხვადასხვა საწყისი პირობების შემთხვევაში გამოვიყენეთ პირდაპირი რიცხვითი მოდელირების კოდი Pencil-ის მაგნიტოჰიდროდინამიკური მოდელი. აღმოჩნდა, რომ სამყაროს გაფართოების თანმყოფ სისტემაში კონფორმული დროზე გადასვლის შემდეგ რელატივისტური მკვდრე განტოლებები დიდი სიზუსტით შეიძლება დავიყვანოთ კლასიკურ მკვდრე ფორმაზე. შესაბამისად ადრეული სამყაროს თვისებების კვლევა შესაძლებელი ხდება მაღალი გარჩევის სამგანზომილებიანი მკვდრე რიცხვითი მოდელირებების საშუალებით. ნაჩვენებია ადრეულ სამყაროში სარკული სიმეტრიის დარღვევის ზეგავლენა მაგნიტური ველის თვისებებზე. რიცხვითად შესავლილია მაგნიტური დინამო ეფექტი, რომელსაც იწვევს მაგნიტო-კირალური არამდგრადობა. როგორც ჩანს საწყისი კირალობის ენერგია მთლიანად გადადის მაგნიტური სპირალობის ენერგიაში, რაც გადაწყვეტს როლს ასრულებს ტურბულენტობის შემდგომ განვითარებაში. რიცხვითი მოდელირებით ნაჩვენებია სპირალური ტურბულენტობის მიღების ტემპი გაფართოებად სამყაროში. ნაჩვენებია, რომ სულ მცირე საწყისი სპირალობაც კი იზრდება გაფართოების პროცესში და აღწევს მაქსიმალურ შესაძლო მნიშვნელობას. სპირალური ტურბულენტობის მიღება მნიშვნელოვნად ნელდება

ტოპოლოგიური ინვარიანტის შენახვის თვისების გამო, რაც იწვევს გაცილებით დიდმასშტაბოვან რელიქტურ მაგნიტურ ველებს დღევანდელ დღეს.

პუბლიკაციები გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად:

Brandenburg, A., Kahnishvili, T., Mandal, S., Roper Pol, A., **Tevzadze, A.**, Vachaspati, T., *“The dynamo effect in decaying helical turbulence”*, Physical Review Fluids (submitted)

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.1.5	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	მაგნიტური ველები სამყაროში: წარმოშობა, ევოლუცია და დაკვირვებითი გამოვლინებები FR/264/6-350/14	2015-2018	ალექსანდრე თევზაძე (თანამონაწილე ორგანიზაციის მხრიდან, თსუ)

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი მიზნად ისახავდა დიდმასშტაბოვანი მაგნიტური ველების შესწავლას სამყაროში. ამოცანები მოიცავდნენ მაგნიტური ველის გენერაციას ადრეულ სამყაროში, მაგნიტური ველის ევოლუციას სხვადასხვა კოსმოსურ ეპოქებში, მათ შორის ფაზური გადასვლების დროს, და უკანასკნელ ეტაპს, როდესაც სამყარო ფართოვდება ადიაბატურად. ამ ამოცანების ამოსახსნელად შესწავლილია დამაგნიტებელი ტურბულენტობის ევოლუცია ადრეული სამყაროდან დღევანდელ დღემდე, როდესაც მაგნიტური ველი დაიკვირვება გალაქტიკურ მასშტაბებზე. ნაჩვენებია, რომ ტურბულენტობის მილევა მნიშვნელოვანი ფაქტორია კოსმოსური მაგნიტური ველის ევოლუციისას, რომლის აღწერა მარტივი ადიაბატური გაფართოების საშუალებით არ არის გამართლებული. გამოთვლილია მაგნიტური ველის შეზღუდვები, რომლებიც ედება ინფლაციისას ან მოგვიანებით კვანტურ-ქრომოდინამიკური ან ელექტროსუსტი ფაზური გადასვლისას გაჩენილ მაგნიტურ ველს. მკვდ დინებების პირდაპირი რიცხვითი მოდელირების საშუალებით ნაპოვნია ტურბულენტობის ევოლუციის ახალი რეჟიმები. ნაჩვენებია, რომ არასპირალურ ტურბულენტობაში შესაძლებელია დაიკვირვებოდეს ენერჯის შებრუნებული სპექტრალური გადატანა: ეფექტი, რომელიც ჩვეულებრივ დაიკვირვება სპირალურ დინებებში. ნაჩვენებია მაგნიტოგენეზის დროს

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nodar Kekelidze, Bela Kvirkevelia, David Kekelidze, Elza Khutsishvili, Lali Nadiradze, George Kekelidze, Tengiz Qamushadze, Zurab Chubinishvili, Ia Kalandadze	Exponential Optical Absorbption in Non-Irradiated and Irradiated III-V Compounds. ISSN-0132-1447	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 12, #3, pp.50-56, 2018	თბილისი, საქართველო	6

შესწავლილია ოპტიკური შთანთქმის კოეფიციენტის დამოკიდებულება ფოტონის ენერგიაზე ფუნდამენტური შთანთქმის კიდის მახლობლად InP, InAs და მათი InP-InAs მყარი ხსნარებისთვის. ექსპერიმენტები ტარდებოდა $T=300K$ და $T=80K$ ტემპერატურაზე, დასხივებამდე და მაღალი ენერგიის ელექტრონებით (50MeV) დასხივების შემდეგ. დასხივებამდე და დასხივების შემდეგ გამოვლინდა ოპტიკური შთანთქმის კოეფიციენტის ფოტონის ენერგიაზე ექსპონენციალური დამოკიდებულება ენერგეტიკული დეფიციტით ნებისმიერ ტემპერატურაზე და დასხივების ყველა შემთხვევაში. დამუშავებულ იქნა ამ მოვლენის საერთო მექანიზმი და ჩატარებულ იქნა რაოდენობრივი გათვლები, რომლებიც კარგ თანხვედრაშია დაუსხივებელი მასალების ექსპერიმენტულ მონაცემებთან. დასხივებული კრისტალებისთვის სურათი რთულდება. ჩატარებულია რაოდენობრივი ანალიზი მაღალი ენერგიის (50MeV) ელექტრონებით დასხივებული კრისტალებისთვის. ნაჩვენებია, რომ დასხივებულ კრისტალებში ექსპონენციალური კუდები არის წერტილოვანი

დეფექტების ზემოქმედების შედეგი.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელი, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელი, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nodar Kekelidze, Elza Khutsishvili, Bela Kvirkevelia, Rezo Kobaidze, George Kekelidze	Semiconductor materials withstanding large fluence of hard irradiation. ISSN (e): 2321-9009	<i>International Journal of Advances in Science Engineering and Technology</i> , Vol-6, Iss-3, Spl. ISSue-2. pp.5-9. Sep.-2018	Institute of Research and Journals. Odisha, India	5

InAs, InP-ის და მათი InP_xAs_{1-x} მყარი ხსნარების ბაზაზე დამუშავებულ იქნა ტექნოლოგია და

შექმნილ იქნა მასალები, რომლებშიც ელექტრონების კონცენტრაცია, ოპტიკური და თერმოელექტრული არ იცვლება ნიმუშების $\Phi=2\cdot 10^{18}\text{n/cm}^2$ ნეიტრონების ჩქარი ნაკადებით ხისტი დასხივების მაღალი ენერგიების ელექტრონებით (50MeV , $\Phi=6\cdot 10^{17}\text{e/cm}^2$) და ელექტრონებით $\Phi=3\cdot 10^{18}\text{e/cm}^2$ ნაკადით დასხივებისას. გზადაჭრილ იქნა გამოწვევა ისეთი მასალების მიღების, რომლებშიც ხისტი დასხივებისას მუხტის მატარებელთა ძვრადობა არ მცირდება, არამედ იზრდება. ეს მასალები ხასიათდებიან მაღალი თერმული მდგრადობით $T = 700^\circ\text{C}$ -მდე. დეფექტების წარმოქმნის ანალიზის რთულმა პროცესმა აჩვენა, რომ მიუხედავად ხისტი დასხივებისა, ძირითადი თვისებები საკვლევი მასალებისა განისაზღვრება წერტილოვანი დეფექტებით.

2	Nodar Kekelidze, Teimuraz Jakhutashvili, Bezhan Tutberidze, Eremia Tulashvili, Mariam Akhalkatsishvili, Lela Mtsariashvili	Radionuclides in rocks of southern part of Mtskheta-Mtianeti region (Georgia). https://doi.org/10.1016/j.explo.2018.02.010	Journal of Geochemical Exploration, vol. 190	Elsevier	9
---	--	--	--	----------	---

ნაშრომში შესწავლილია ბუნებრივი და ტექნოგენური რადიონუკლიდების განაწილება ქანების ნიმუშებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სამხრეთ ნაწილში, რომელიც განლაგებულია ამიერკავკასიისმთათაშუაარეშიდამცირეკავკასიონის (ანტიკავკასიონი) ნაოჭასისტემაში. აქ იდენტიფიცირებულია რამდენიმე გეოტექტონიკური ერთეული, კერძოდ, აღმოსავლური და ძირის ზონის ქართლის მოლასური ქვეზონა და აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის ცენტრალური და სამხრეთი ქვეზონები. ქანების რადიოაქტივობა ამ რაიონში პრაქტიკულად არ არის შესწავლილი. ნაშრომში გამა-სპექტროსკოპიის მეთოდით შესწავლილია სხვადასხვა ტიპის ქანების 20 ნიმუში - დანალექი და მეტამორფული. ამ ნიმუშებში იდენტიფიცირებულია 21-მდე ბუნებრივი და ერთი ტექნოგენური რადიონუკლიდი Cs-137. Th-232-ის ოჯახის რადიონუკლიდების საშუალო აქტივობა იცვლებოდა 4.5-დან 67.0-მდე Bq/kg, U-238-ის ოჯახის - 4.5-დან 93.5-მდე Bq/kg, U-235-ის ოჯახის - 0.22-დან 4.3-მდე Bq/kg. კონცენტრაციის ყველაზე მაღალი აქტივობა დაიმზირებოდა K-40-ვის (მაქსიმალურმა მნიშვნელობამ შეადგინა 746 Bq/kg). Cs-137-ის აქტივობა იცვლებოდა 0.12-დან 6.3-მდე Bq/kg. აღნიშნულია ზოგიერთი თავისებურებები რადიონუკლიდების განაწილებაში, კერძოდ, ქანების ტიპის, ტექტონიკური ზონის და ასაკის მიხედვით. განხილულია რადიონუკლიდების აქტივობის ზოგიერთი შეფარდება, კერძოდ, U-238/U-235, U-238/Th-232, Ra-226/U-238 და Pb-210/Ra-226. ჩატარებულია შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან.

3	Nodar Kekelidze, Teimuraz Jakhutashvili, Bezhan Tutberidze, Eremia Tulashvili, Mariam Akhalkatsishvili, Lela Mtsariashvili	Radioactivity of rock samples in the Shida Kartli Region (Georgia). http://ijaeb.org/view2.php?issue=3	International Journal of Agriculture, Environment and Bioresearch vol. 3, #3	IJAEB pub.	15
---	--	---	--	------------	----

ნაშრომის შესწავლილია ბუნებრივი და ტექნოგენური რადიონუკლიდების განაწილება ქანების ნიმუშებში შიდა ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე, რომელიც განლაგებულია ამიერკავკასიისმთათაშუაარეში. რაიონის ხასიათდება რთული გეოლოგიური სტრუქტურით, და ქანების და ნიადაგის რადიოაქტივობა ამ რაიონში პრაქტიკულად არ არის შესწავლილი. ნაშრომში გამა-სპექტროსკოპიის მეთოდით შესწავლილია სხვადასხვა ტიპის ქანების 18 ნიმუში - მაგმური, დანალექი და მეტამორფული. ამ ნიმუშებში იდენტიფიცირებულია 21-მდე ბუნებრივი და ერთი ტექნოგენური რადიონუკლიდი Cs-137. Th-232-ის ოჯახის რადიონუკლიდების საშუალო აქტივობა იცვლებოდა 1.2-დან 64.8-მდე Bq/kg, U-238-ის ოჯახის - 4.5-დან 47.3-მდე Bq/kg, U-235-ის ოჯახის - 0.22-დან 2.3-მდე Bq/kg. კონცენტრაციის ყველაზე მაღალი აქტივობა დაიმზირებოდა K-40-ვის (1263 Bq/kg). Cs-137-ის აქტივობა დაფიქსირებულია რამდენიმე ნიმუშში - 0.1-0.6 Bq/kg.

აღნიშნულია ზოგიერთი თავისებურებები რადიონუკლიდების განაწილებაში, კერძოდ, ქანების ტიპის, ტექტონიკური ზონის და ასაკის მიხედვით. განხილულია რადიონუკლიდების აქტივობის ზოგიერთი შეფარდება, კერძოდ, U-238/U-235, U-238/Th-232, Ra-226/U-238 და Pb-210/Ra-226. ჩატარებულია შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან.

4 Nodar Kekelidze, Teimuraz Jakhutashvili, Bezhan Tutberidze, Eremia Tulashvili, Mariam Akhalkatsishvili, Lela Mtsariashvili	Radionuclides in samples of soil of different types in the Kvemo Kartli Region (Georgia) http://www.aascit.org/journal/ijabe	International Journal of Agricultural and Biosystems Engineering; vol. 3, #3	American Association for Science and Technology	11
---	--	--	---	----

ნაშრომის მიზანია ქვემო ქართლის (საქართველო) რეგიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის ნიადაგში რადიონუკლიდების შედგენილობის და რადიოაქტივობის დადგენა. ამ ტერიტორიაზე 28 საკონტროლო პუნქტში აღებული იყო სხვადასხვა ტიპის ნიადაგის ნიმუშები (ყავისფერი (Cn); ყავისფერი გამოტუტული (Cn-Ld); ყავისფერი კარბონატული (Cn-Cr); რუხი ყავისფერი (GCD); შავმიწა (Cz); ყომრალი სუსტად არამადარი (BFWU)). ამ ნიმუშებში იდენტიფიცირებულია 22-მდე რადიონუკლიდი. Th-232-ის ოჯახის რადიონუკლიდების (სულ 6 რადიონუკლიდი) კონცენტრაცია იყო დიაპაზონში 12.9-64.9 Bq/kg (საშუალო მნიშვნელობა 27.0 Bq/kg), U-238-ის ოჯახის (სულ 7 რადიონუკლიდი) - 10.2-47.9 Bq/kg (24.0), U-235-ის ოჯახის (სულ 6 რადიონუკლიდი) - 0.49-2.3 Bq/kg (1.1). აგრეთვე იდენტიფიცირებულია ცალკეული რადიონუკლიდი - Be-7 (16.1-42.6 Bq/kg), K-40 (290-დან 942-მდე Bq/kg (275)) და Cs-137 (0.2-88.2 Bq/kg (15.6)). რადიუმის ეკვივალენტური აქტივობის სიდიდე იცვლებოდა დიაპაზონში 57.1-დან 210-მდე Bq/kg საშუალო მნიშვნელობით 102 Bq/kg, ამავდროულად უდიდესი მნიშვნელობები დაიმზირებოდა ნიადაგებისათვის GCD, Cn-Ld და Cn, და მცირედენ ნაკლები ნიადაგებისთვის Cz, Cn-Cr და BFWU. წლიური ეფექტური დოზა იცვლებოდა დიაპაზონში 0.035 – 0.122 mSv/y საშუალო მნიშვნელობით 0.058 mSv/y. აღნიშნულია ზოგიერთი თავისებურებები რადიონუკლიდების განაწილებაში, კერძოდ, ნიადაგის ტიპის და ნიმუშების აღების პუნქტების მიხედვით. განხილულია რადიონუკლიდების აქტივობის ზოგიერთი შეფარდება, კერძოდ, U-238/U-235, U-238/Th-232, Ra-226/U-238 და Pb-210/Ra-226 (ბოლო შემთხვევაში დაიმზირებოდა მნიშვნელოვანი გადახრები წონასწორულ მდრომარეობიდან - 6.87-მდე საშუალო მნიშვნელობით 2.29, ამავდროულად აღნიშნულია გარკვეული კორელაცია გეოტექტონიკური სტრუქტურის თავისებურებებთან შესწავლილ ტერიტორიაზე). ჩატარებულია შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. კეკელიძე, თ. ჯახუტაშვილი, ბ. თუთბერიძე, ე. თულაშვილი, მ. ახალკაციშვილი, ლ.	რადიოაქტიური ელემენტები მდინარე მტკვრის ხეობის ქანებში	თსუ-ს მეექვსე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო

	მწარიაშვილი		მეცნიერებებში, 12-15 თებერვალი, თბილისი
2	ლ.მწარიაშვილი, ნ.კეკელიძე, გ.გოდერძიშვილი, თ.ჯახუტაშვილი, ე.თულაშვილი	ნიადაგის რადონი ქ. თბილისის არეალში	თსუ-ს მეექვსე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 12-15 თებერვალი, თბილისი

6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	L. Mtsariashvili, N. Kekelidze, G. Goderdzishvili, E. Tulashvili, T. Jakhutashvili.	Radon in natural waters in the territory of Kartli artesian basin (Georgia)	18 th Int. Multidisciplinary Scientific GeoConference (SGEM 2018); 3 – 6 December, 2018, Vienna, Austria.
2	Kekelidze N., Khutsishvili E., Kvirkvelia B., Kobaidze R., Kekelidze G	Semiconductor materials withstanding large fluence of hard irradiation.	422 nd IIER International Conference on Applied Physics and Mathematics (ICAPM) (13-14 th June Brussels, Belgium. 2018 http://www.worldresearchlibrary.org/up_proc/pdf/1650-153485244407-11.pdf
3	Kekelidze N. Kekelidze T. Akhalbedashvili L. Mirtskhulava M. Maisuradze G. Kvirkvelia B. Tsotadze G. Liparteliani V.	The content of antioxidants – phenolic compounds, in red wines of Georgia “Kindzmarauli” and “Saperavi”	19 th International Congress on Nutrition&Health. 12-14 April, 2018. Amsterdam. Netherland Book of Abstract. https://health.nutritionalconference.com/abstract/2018/the-content-of-antioxidants-phenolic-compounds-in-red-wines-of-georgia-kindzmarauli-and-saperavi

მომხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტთან არსებული ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტი
(2018 წლის ანგარიში)**

ინსტიტუტის სტრუქტურა და შემადგენლობა

ინსტიტუტის დირექტორი		- შოთა მირიანაშვილი
დირექტორის მოადგილე		- თენგიზ ქამუშაძე
ნახევარგამტართა მასალათმცოდნეობის განყოფილება		
1.	თენგიზ ქამუშაძე	- განყოფილების გამგე
2.	ანზორ ბერძენიშვილი	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
3.	ზურაბ რაზმაძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
4.	მედეა ჯოკუა	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
5.	ქეთევან ედიდაშვილი	- მეცნ. თანამშრომელი
6.	რუსუდან შალამბერიძე	- მეცნ. თანამშრომელი
მომავლის მასალათა მიღების და კვლევის განყოფილება		
1.	მაია შერვაშიძე	- განყოფილების გამგე
2.	თამაზ ბუთხუზი	- მთავარი მეცნ. თანამშრომელი
3.	ნოდარ გაფიშვილი	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
4.	ეკა კეკელიძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
5.	ლია ტრაპაიძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
A^{IV} - B^{VI} ნახევარგამტართა კვლევის განყოფილება		
1.	ომარ დავარაშვილი	- განყოფილების უფროსი
2.	მეგი ენუქაშვილი	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
3.	ლარისა ბიჩკოვა	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი

ფოტონერგეტიკის განყოფილება		
1.	ვასილ შველიძე	- განყოფილების გამგე
2.	ჯანო ბურჯანაძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
3.	მიხეილ ელიზბარაშვილი	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი
4.	გურამ ტოგონიძე	- მეცნ. თანამშრომელი
5.	ჟორა გაბრიჭიძე	- უფრ. მეცნ. თანამშრომელი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებელი
1.	$In_xCa_{1-x}As$ -ის რადიაციულად მდგრადი ეპიტაქსიური ფენების მიღების თხევად-ფაზური ეპიტაქსიის დანადგარის მოდერნიზაცია ეპიტაქსიური ფირების კონცენტრაციითა ფართო ინტერვალის მიღება და მათი ელექტრო-ფიზიკური თვისებების შესწავლა ($A^{III}B^V$ ნახევარგამტართა მყარ ხსნარების ფიზიკა)	თენგიზ ქამუშაძე	1. ა. ბერძენიშვილი 2. ზ. რაზმაძე 3. მ. ჯოჯუა 4. რ. შალამბერიძე 5. ქ. ედილაშვილი

1. შესავალი და საკითხის დასმა

თანამედროვე მიკრო-, ნანო- და ოპტოელექტრონიკის მიღწევები ძირითადად განპირობებულია მათი მატერიალური ბაზის – ნახევარგამტარული სტრუქტურებისა და მათზე დაფუძნებული ხელსაწყოების განვითარების დონითა და საიმედოობით. ჩერნობილის და ფუკუშიმოს ტრაგედიებმა, აგრეთვე ბოლო პერიოდის ავარიებმა ბირთვული ენერჯის გენერირებისა და მოხმარების მრავალ ობიექტზე ცხადჰყო, რომ რადიაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი პრობლემა დაკავშირებულია რადიაციის მიმართ მდგრადი თანამედროვე ნახევარგამტარული მასალებისა და მათზე დაფუძნებული ხელსაწყოების შექმნასთან.

InP_xAs_{1-x} -ის მყარ ხსნარებში კრისტალური მესერის ე.წ. ორმოდემიანი რხევების მოვლენის [1] აღმოჩენამ, რომელიც შემდეგ დიდი სიზუსტით იქნა დადასტურებული ოქსფორდის კლარელონის ლაბორატორიასა და საკლეს ბირთვული კვლევების ცენტრში, დასაბამი მისცა რადიაციულად მდგრადი ახალი ნახევარგამტარული მასალების მიღების ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებას.

დადგინდა, რომ InP_xAs_{1-x} -ის და $In_xGa_{1-x}As$ -ის მყარი ხსნარების რადიაციული დასხივებისას ადგილი აქვს გენერირებული დონორებისა და აქცეპტორების უირთიერთკომპენსაციის მოვლენას [2-6]. ამის გამო, კომპონენტთა თანაფარდობების წარმატებით შერჩევის პირობებში, შესაძლებელია

რადიაციულად მდგრადი ნახევარგამტარული მასალების მიღება.

ამ მიმართულებით 2015-2016 წლებში №6 ლაბორატორიაში გადაიდგა საკმაოდ წარმატებული ნაბიჯები – დამუშავდა ტექნოლოგია და შეიქმნა რადიაციულად მდგრადი ნახევარგამტარული შენაერთების მონოკრისტალთა მოცულობითი სხმულები [7]. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნახევარგამტარული ხელსაწყოების, განსაკუთრებით მათი ინტეგრალური ვარიანტის დასამზადებლად ასეთი მოცულობითი სხმულების გამოყენება მოუხერხებელია. ამ თვალსაზრისით გაცილებით პერსპექტიულია ანალოგიური შემადგენლობის მყარი ხსნარების თხელი ფენები.

№6 ლაბორატორიის 2017-2018 წლების სამუშაოები მიეძღვნა სწორედ $\text{In}_x\text{Ga}_{1-x}\text{As}$ -ის მონოკრისტალური ფენების მიღების, გამოკვლევის და მათ ბაზაზე ისეთი ნახევარგამტარული ხელსაწყოების დამზადების პრობლემებს, როგორცაა მაგნიტური ველის ჰოლის სენსორები, p-n გადასასვლელები და შოტკის ბარიერები.

2. ტექნოლოგიური მეთოდის არჩევა

მყარი ხსნარების მონოკრისტალური თხელი ფენების დასამზადებლად ჩვენ შევარჩიეთ ეპიტაქსიური მეთოდი. ეპიტაქსია ინგლისური სიტყვიდან epitaxy მომდინარეობს და ნიშნავს ერთი მონოკრისტალური ფენის ორიენტირებულ ზრდას მეორის (საფენი) მონოკრისტალურ ზედაპირზე.

ეპიტაქსიური ფენის კრისტალური სრულყოფა დამოკიდებულია საფენის ზედაპირის დამუშავების და სისუფთავის ხარისხზე ფენის ზრდის სიჩქარეზე, პროცესის წარმართვის ტემპერატურაზე და სხვა ფაქტორებზე [8,9]. ეპიტაქსიური ფენის ზრდა შეიძლება განხორციელდეს აირადი, თხიერი ან მყარი ფაზიდან. მიტომ განასხვავებენ აირფაზურ, თხიერფაზურ მყარფაზურ და მოლეკულურ-სხივურ ეპიტაქსიებს.

თხიერფაზური ეპიტაქსია გამოიყენება მყარი ხსნარების (InGaAs , InPAs და სხვ.) ფენების მისაღებად. ამ მეთოდით სარგებლობისას პირველ ეტაპზე სწორად უნდა შეირჩეს საფენი, რომელზედაც უნდა გაიზარდოს ეპიტაქსიური ფენა (როგორც წესი საფენად იყენებენ ან ეპიტაქსიური ფენის შესაბამის ან მსგავსი კრისტალოგრაფიული სტრუქტურის მონოკრისტალს), ნარევი ნივთიერებებისა, რომლისგანაც უნდა შედგებოდეს გასაზრდფელი ფენა, რომელსაც ემატება მალეგირებელი ნივთიერებები (კონტროლირებადი მინარევები, რომლებიც ქმნიან ეპიტაქსიურ ფენაში დონორულ ან აქცეპტორულ დონეებს) და გამხსნელი მეტალი (გალიუმი, კალა, ტყვია და სხვ.), რომელსაც უნდა ჰქონდეს დნობის დაბალი ტემპერატურა და მასში კარგად უნდა იხსნებოდეს როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებები, ასევე საფენის მასალა. ეპიტაქსიის პროცესი მიმდინარეობს ინერტული (არგონი, აზოტი) ან აღმდგენელი (წყალბადი) აირის ატმოსფეროში.

ხსნარი-ნადნობის კონტაქტი საფენის ზედაპირთან ხდება მისი გაჯერების ტემპერატურასთან შედარებით მაღალ ტემპერატურაზე, რათა მასში გაიხსნას საფენის დაბინძურებული და თერმულად დაზიანებული თხელი ზედაპირული ფენა. ამ ტემპერატურაზე დაყოვნების შემდეგ იწყება სისტემის ნელი გაცივება. გაცივების პროცესში ხსნარი-ნადნობი გადადის ჯერ გაჯერებულ, შემდეგ გადაჯერებულ მდგომარეობაში, რომლის დროსაც იწყება “ჭარბი” ნახევარგამტარული მასალის გამოლექვა საფენზე. ეს უკანასკნელი თამაშობს მადედელების როლს. ამ პროცესში თანდათანობით მიმდინარეობს ნახევარგამტარული ფენის გაზრდა, რომელიც ზუსტად იმეორებს მადედელების კრისტალოგრაფიულ მიმართულებას.

ეპიტაქსიური ფენების ხარისხის განმსაზღვრელი, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით $\text{In}_x\text{Ga}_{1-x}\text{As}$ -ის ლეგირებული თხელი ფენების დასამზადებლად ჩვენს მიერ არჩეული იქნა თხიერ-ფაზური ეპიტაქსიის მეთოდი. მართლაც ხსნარი-ნადნობის საწყისი წონასწორული ტემპერატურა გაცილებით დაბალია ცალკეული კომპონენტის (InAs და GaAs) დნობის ტემპერატურებთან შედარებით; გარდა ამისა ეს პროცესი გაცივების სიჩქარის, ნადნობის მოცულობისა და საფენის ზედაპირის ფართობის შორის თანაფარდობის, გამხსნელი და გასახსნელი

ნივთიერებების ბუნების და საფენის ზედაპირის მდგომარეობის გათვალისწინებითაც ჩვენთვის უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა აირფაზურ ეპიტაქსიასთან

შედარებით. თხიერფაზური ეპიტაქსიის მეთოდის არჩევა იმითაც იყო განპირობებული, რომ ლაბორატორიას გააჩნდა სამზონიანი ლუმელი, რომელშიდაც შესაძლებელი იყო 1500⁰C –მდე ტემპერატურის მიღწევა.

3. დანადგარი თხიერფაზური ეპიტაქსიისათვის

როგორც წინა თავში აღინიშნა, თხიერფაზური ეპიტაქსიის დანადგარი აწყობილ იქნა სამზონიანი ლუმელის C-2637–ის ბაზაზე. მოვახდინეთ ამ ლუმელის მოდერნიზაცია, დავამონტაჟეთ ტემპერატურის მართვისა და სტაბილიზაციის ელექტრონული ბლოკები, ლუმელის თითოეული ზონა აღვჭურვეთ პლატინა-პლატინაროდუმიის თერმოწყვილებით ПР- 30/6, დავამზადეთ და გამოვცადეთ კვარცის რეაქტორის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაც მიუსადაგეთ აირმიმწოდებელი სისტემა აირის ხარჯის მაკონტროლებელი რედუქტორითა და გამწოვი მოწყობილობით, დავამზადეთ რამდენიმე სახის გრაფიტის კასეტა ნახევარგამტარული საფენი ფირფიტების დამჭერითა და გადაადგილებადი ავზებით ნადნობებისათვის.

ჩვენს მიერ აწყობილი თხიერფაზური ეპიტაქსიის დანადგარის საერთო ხედი მოცემულია სურ. 1 – ზე. იგი შედგება შემდეგი კვანძებისაგან: ა) ლუმელთა აგრეგატი, ბ) კარადა ტემპერატურის მარეგულირებელი ბლოკებით, გ) კვარცის რეაქტორი, დ) აირმიმწოდებელი გამწოვი სისტემები.

ლუმელთა აგრეგატი შედგება სტელაჟისაგან, რომელშიც დამონტაჟებულია ორი ერთნაირი ლუმელი. ლუმელთა გამახურებელი კამერის შიდა დიამეტრი 90 მმ-ია. გამახურებელი დაყოფილია სამ სექციად. ტემპერატურის რეგულირება თითოეულში ხორციელდება შესაბამისი ტემპერატურის მარეგულირებლების საშუალებით, რომლებიც დადებითი გალვანური უკუკავშირებით არიან დაკავშირებული სექციებში განთავსებულ პლატინა-პლატინაროდუმიის თერმოწყვილებთან.

თხიერ-ფაზური ეპიტაქსიის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იზოტემპერატურული პლატოს არსებობას გამახურებელ კამერაში. ასეთი პლატოს ჩამოყალიბების და შენარჩუნებისათვის გამოიყენება ცენტრალური და განაპირა სექციების დიფერენცირებული ჩართვის ეფექტი, შესაბამისი თერმოწყვილების ჩვენებების მიხედვით. ლუმელის სექციებში ტემპერატურული რეჟიმების მრავალჯერადი ცვლილებებისა და დახვეწის შემდეგ ლუმელში მიღწეულია 110 მილიმეტრიანი იზოტემპერატურული პლატო, სადაც დაცულია ტემპერატურული ერთგვაროვნება 1⁰-ის ინტერვალში.

რეაქტორი (სურ.2) წარმოადგენს კვარცის მილს -1, რომლის დიამეტრია 70 მმ. და სიგრძე 800 მმ. მილის ერთი მხარე ღიაა, ხოლო მეორე ბოლოვდება მასზე მირჩილული უფრო მცირე დიამეტრის (10 მმ) კვარცის 35 სმ სიგრძის მილით -2. კონტეინერის შეტანის შემდეგ, რეაქტორის გახსნილი ბოლო პროცესის დაწყებამდე იხურება ტეფლონის რგოლისა-4 და ამავე მასალის მრგვალი სახურავი ფირფიტის-5 საშუალებით, რომელშიც მონტირებულია ვაკუუმური რეზინის საფენი. სახურავიდან სპეციალური საფენების გავლით, რეაქტორში შეყვანილია კვარცის მილი-6 აირის შესაშვებად და მოლიბდენის ღეროები -7 და -9, რომელთა საშუალებით ფიქსირდება რეაქტორში კონტეინერის მდებარეობა და სრულდება მისი სხვადასხვა ნაწილების გადაადგილება.

სურ. 1 თხიერფაზური ეპიტაქსიის დანადგარის საერთო ხედი



თხიერფაზური ეპიტაქსიის ჩასატარებლად ჩვენს მიერ კონსტრუირებული და დამზადებული იქნა სპეციალური კონტეინერები. მასალად გამოვიყენეთ ოპტიკურად სუფთა გრაფიტი. კონტეინერები გამოსახულია სურ. 3-ზე, ხოლო მათი სქემატური ნახაზი მოცემულია სურ. 4-ზე. იგი შედგება კორპუსისგან – 1, რომელშიც ამოკვეთილია საფენი ფირფიტებისათვის სათავსო ღრმულები – 2 და კორპუსზე მოსრიალე ხუფისგან – 3, რომელშიც განთავსებულია გამჭოლი ორმოები - 4 (ავზები) ნადნობებისათვის. პროცესის ჩატარების დროს კონტეინერის ხუფის გასრიალებით ნადნობიანი ორმო თავსდება საფენიანი ღრმულის თავზე და ამ დროს ხდება კონტაქტი ნადნობისა საფენთან. პროცესის დამთავრების შემდეგ კი ხუფი იცვლის მდებარეობას და ზედმეტი ნადნობი სცილდება საფენს.


როგორც აღვნიშნეთ, სრულყოფილი ფენების მისაღებად უდიდესი მნიშვნელობა საფენი ფირფიტებისა და ნადნობის შემადგენელი კომპონენტების სწორად შერჩევას, მათ სისუფთავეს და წინასწარ მომზადებას. ეპიტაქსიური ფენების მისაღებად გამოვიყენეთ შემდეგი ნივთიერებები: ა) ГЛ 000 მარკის მეტალური გალიუმი; ბ) n-ტიპის არალეგირებული გალიუმის არსენიდი, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე შემდეგი პარამეტრებით ხასიათდებიან $n < 1.10^{17} \text{ см}^{-3}$ და ძვრადობა

>4000 სმ²/ვ.წმ; გ) (100) კრისტალოგრაფიული მიმართულების ნახევრადიზოლირებული ($n < 10^9$ სმ⁻³), p-ტიპის ($p > 10^{18}$ სმ⁻³) და n-ტიპის ($n > 10^{17}$ სმ⁻³) გალიუმის არსენიდის მონოკრისტალური საფენები; დ) 000 მარკის მეტალური ინდიუმი; ე) სილიციუმი; ვ) მეტალური ტელური; ზ) ПП3 მარკის გერმანიუმი.

4. საწყისი ნივთიერებები და მათი მომზადება თხიერფაზური ეპიტაქსიისათვის

გალიუმის არსენიდის მონოკრისტალური საფენები ჩამოჭრილი იყვნენ (100) კრისტალოგრაფიული მიმართულებით გაზრდილი მონოკრისტალური სხმულებიდან. ამ მიმართულებიდან გადახრა არ აღემატებოდა 0,1 გრადუსს. საფენების “სამუშაო” მხრიდან იხეხებოდა მქრქალი მინის ზედაპირზე ჯერ 10, შემდეგ 5 მიკრონიანი ალმასის ფხვნილით და პოლირდებოდა ბატისტის ზედაპირზე 0,5 მიკრომეტრის ზომის ალმასის პასტით. ამის შემდეგ ვაწარმოებდით მათ განცხიმვას ჯერ ტოლუოლში, შემდეგ იზოპროპილის სპირტში და ბოლოს დისტილირებულ წყალში მათი წამოდუდებით ხუთ-ხუთი წუთის განმავლობაში. უშუალოდ თხიერფაზური ეპიტაქსიის ჩატარების წინ გალიუმის არსენიდის საფენები 30წამის განმავლობაში იწამლებოდა მომწამვლელ ნარევეში $3H_2SO_4:1H_2O_2:1H_2O$, რის შემდეგაც იგი 5 წუთის განმავლობაში ირეცხებოდა გამდინარე დისტილირებულ წყალში და ერთი საათის განმავლობაში შრებოდა თერმოსტატში 100⁰ C ტემპერატურაზე.

სურ. 2 კვარცის რეაქტორის სქემატური გამოსახულება




სურ. 3

თხიერფაზური ეპიტაქსიის დროს გამოყენებული გრაფიტის კონტეინერები



სურ. 4 კონტეინერის სქემატური გამოსახულება



ინდიუმის მოწამვლა ხდებოდა ნარევი $25\text{H}_3\text{PO}_4:1\text{HNO}_3$ ხუთი წამის განმავლობაში; გერმანიუმისა და სილიციუმის – $2\text{HNO}_3:1\text{HF}$ -ში ორი წამის განმავლობაში, რის შემდეგაც ისინი ხუთი წუთის განმავლობაში ირეცხებოდნენ გამდინარე დისტილირებულ წყალში და შრებოდნენ თერმოსტატში 100°C -ზე 30 წუთის განმავლობაში.

რაც შეეხება გალიუმსა და ტელურს, ეპიტაქსიის წინ არ ხდებოდა მათი ქიმიური დამუშავება.

ეპიტაქსიური პროცესების ჩატარებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაღობის შემადგენლობის სკურპულოზურ დაცვას, ამიტომ ხდებოდა შემადგენელი კომპონენტების ზუსტი აწონვა ანალიზურ სასწორზე BA1-200.

ნახევრადიზოლირებული გალიუმის არსენიდის საფენს ვიყენებდით მაშინ, როცა გვინდოდა ეპიტაქსიური ფენის ელექტრო-ფიზიკური პარამეტრების გაზომვა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დაბალმიანი საფენი მოახდენდა ფენაში გამავალი დენის ნაწილობრივ დაშენტვას და ელექტრო-

ფიზიკური პარამეტრებისათვის მივიღებდით მცდარ მნიშვნელობებს. სწორედ ამ მიზეზის გამო პოლის მაგნიტური ველის სენსორისთვისაც ეპიტაქსიურ ფენას ვზრდიდით მაღალომიან საფენზე. დაბალომიანი p -ტიპის გალიუმის არსენიდის საფენი ჩვენ გამოვიყენეთ მასზე p - n n -ტიპის ეპიტაქსიური ფენის გასაზრდელად, რადგან წარმატებული პროცესის შემთხვევაში ვლენულობდით $nIn_xGa_{1-x}As-pGaAs$ დიოდს.

ანალოგიურად დაბალომიანი n -ტიპის საფენზე $pIn_xGa_{1-x}As$ -ის ეპიტაქსიური ფენის გაზრდით კვლავ $pIn_xGa_{1-x}As-nGaAs$ დიოდს ვლენულობდით. შოტკის ბარიერებისათვის კი n -ტიპის საფენზე n -ტიპის, ხოლო p -ტიპის საფენზე p -ტიპის ფენებს ვზრდიდით.

5. ეპიტაქსიური ფენების მიღება

ფენების მიღებას ვაწარმოებდით ჩვენს მიერ შექმნილ ზემოთ აღწერილ დანადგარზე კლასიკური თხიერფაზური ეპიტაქსიის ტექნოლოგიით. საჭირო პარამეტრების ეპიტაქსიური ფენების მისაღებად ჩვენს მიერ ჩატარებული რიგი ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა ნაღნობის შემადგენელი ელემენტების წონითი თანაფარდობები, რომლებიც მოყვანილია ცხრილ 1-ში.

ეპიტაქსიის დაწყების წინ გრაფიტის კონტეინერის სათანადო ნაწილებში ვათავსებდით ზემოთაღწერილი მეთოდებით წინასწარ მომზადებულ გალიუმის არსენიდის საფენს და და ნაღნობის შემადგენლობის შესაბამისი კომპონენტების ნაკრებს. ამის შემდეგ იგი შეგვქონდა კვარცის რეაქტორში, ვათავსებდით მისი ღია ბოლოს მახლობლად (ღუმელის მოქმედების არის მიღმა), ვხურავდით რეაქტორს ტეფლონის რგოლისა და სახურავის საშუალებით და 15 წუთის განმავლობაში მასში ვატარებდით არგონს. რეაქტორის ჰაერისაგან ამგვარი გასუფთავების შემდეგ ვრთავდით ღუმელის გახურების რეჟიმს და როდესაც (დაახლოებით ერთი საათის შემდეგ) ტემპერატურა სასურველ მნიშვნელობას აღწევდა, კონტეინერი მოლიბდენის პირველი ღეროს -7 (იხ. სურ. 2) საშუალებით შეგვქონდა ღუმელის სიღრმეში, იზოტემპერატურული ზონის ცენტრში, სადაც პროცესის ბოლომდე ფიქსირდებოდა მისი მდებარეობა. კონტეინერის გადაადგილებისას მასზე განთავსებული მოსრიალე ხუფი

ცხრილი 1. ნაღნობა შემადგენელი კომპონენტების წონითი თანაფარდობები

კომპონენტთა წონითი თანაფარდობა, %						ფენის ზრდის ტემპ. ინტერვალი, C°	ფენის გამტარებლობა ტიპი
Ga	GaAs	In	Te	Ge	Si		
82,13	17,17	0,68	0,02	-	-	940-920	n
82,52	17,08	0,57	-	0,83	-	930-910	p
82,86	16,15	0,58	-	-	0,41	940-930	n
						930-910	p

უძრავადაა, რასაც მოლიბდენის მეორე -9 ღეროს საშუალებით ვაღწევდით. კონტეინერს ამ ტემპერატურაზე, რომელიც მასში მყოფი ხსნარი-ნაღნობის შემადგენლობისათვის ნაჯერობის ტემპერატურას 5 გრადუსით აღემატება, ვაყოვნებდით ერთი საათის განმავლობაში, რაც საჭირო იყო კონტეინერისა და მისი შიგთავსის ტემპერატურის დასასტაბილურებლად. შემდეგ ვოლფრამის მეორე ღეროს -9 საშუალებით ვახდენთ კონტეინერის მოძრავი ხუფის გასრიალებას იმდენად, რომ

ნადნობიანი ავზი აღმოჩნილიყო საფენიანი ღრმულის თავზე. ამ დროს ნადნობი იღვრებოდა საფენის ზედაპირზე.


უნდა აღინიშნოს, რომ საფენის თერმული ზემოქმედებისგან დაზიანებული თხელი (10-15 მკმ) ფენის მოწამვლის (მოხსნის) აუცილებლობის გამო, საფენ-ნადნობის კონტაქტის შემდეგ ვახდენდით ტემპერატურის მომატებას კიდევ 20 გრადუსით. ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ საფენის ნაჯერ ხსნარ-ნადნობთან კონტაქტის შემდეგ ტემპერატურის ნელი მომატება იწვევდა ზედაპირული ფენის არათანაბარ მოწამვლას, რის გამოც საფენი-ფენის საზღვარი ტალღური ფორმის გამოდიოდა. მეორე მხრივ, ტემპერატურის სწრაფი მომატებით არასრული ნაჯერობის ხსნარ-ნადნობის მიერ საფენის ზედაპირის დასველების შემდეგ საფენის ზედაპირი საკმაოდ ღრმად იწამვლებოდა, ხოლო საზღვარი ფენა-საფენი იყო თანაბარი.

მომატებულ ტემპერატურაზე 20-30 წუთიანი დაყოვნების შემდეგ იწყებოდა რეაქტორის იძულებითი გაცივება წუთში 0,5 გრადუსი სიჩქარით 90-120 წუთის განმავლობაში. გაცივების პროცესში ხსნარი-ნადნობი გადადის ჯერ უჯერიდან ნაჯერ და მერე ნაჯერიდან გადაჯერებულ მდგომარეობაში. ამ დროს გაჩენილი “ზედმეტი” მყარიხსნარი იწყებს გამოლექვას საფენის ზედაპირზე და იწყება ეპიტაქსიური ფენის ზრდა. ფენის ზრდის პროცესის დასრულების შემდეგ მოლიბდენის მეორე ღეროს საშუალებით კონტეინერის ზუფს ვაბრუნებთ საწყის მდებარეობაში და ამით დარჩენილ ნადნობს ვაცილებთ გაზრდილი ეპიტაქსიური ფენის ზედაპირს, რის შემდეგაც ვცვლიდით გაცივების სიჩქარეს წუთში 1 გრადუსამდე. 2 საათის შემდეგ ხდება ლუმელის გამორთვა და კონტეინერი ცივდება “გამორთული ლუმელის” რეჟიმში. დაახლოებით ორი საათის შემდეგ მოლიბდენის პირველი ღეროს საშუალებით ვახდენდით კონტეინერის გამოცურებას ტეფლონის სახურავის მახლობლად და ამით ვაცილებდით მას ლუმელის მოქმედების არეს. და ამ მდებარეობაში იგი ნახევარი საათის განმავლობაში ცივდება 100 გრადუსამდე. ამის შემდეგ ჩვენ ვწყვეტთ არგონის მიწოდებას. მთელი აღწერილი ტექნოლოგიური პროცესის განმავლობაში რეაქტორში გაედინებოდა არგონი, რომლის ხარჯი იყო საათში 2 ლიტრი.

$\text{In}_{1-x}\text{Ga}_x\text{As}(\text{Si})$ -ის ფენის მიღების ეპიტაქსიური პროცესის ტემპერატურულ-დროითი დიაგრამა მოცემულია სურ. 5-ზე.

რეაქტორიდან გამოღებული ნიმუშების ეპიტაქსიური ფენების ზედაპირს გალიუმის ნარჩენ კვალს ვაცილებდით ჯერ სპირტში დასველებული ბამბის ტამპონებით და შემდეგ მისი წამოდულებით $1\text{HCl}:1\text{H}_2\text{O}$ ნარევეში. მიღებული ეპიტაქსიური ფენების გეომეტრიას ვაკვირდებოდით ნიმუშის განივ ნაპობზე (რასაც წინასწარ ვწამლავდით $1\text{H}_2\text{SO}_4:1\text{H}_2\text{O}_2:10\text{H}_2\text{O}$ ნარევეში 30 წამის განმავლობაში) მიკროსკოპის МИМ-7 საშუალებით (300-ჯერ გადიდებისას).

სურ. 5 ეპიტაქსიური პროცესის ტემპერატურულ-დროითი დიაგრამა



6. ეპიტაქსიური ფენების ელექტროფიზიკური პარამეტრების გამოკვლევა


ზედმეტი გალიუმის ნარჩენებისგან გაწმენდის შემდეგ ხდებოდა მიღებული ეპიტაქსიური ფენების თვისებების შესწავლა. უპირველესად ვადგენდით მათი გამტარებლობის ტიპს. ამისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ცხელი ზონდის მეთოდი (იხ. სურ. 6). ერთი ზონდი-1 (“ცხელი”), რომელზედაც დახვეულია ნიქრომის სპირალი-4, და ცხელდება ამ უკანასკნელში დენის გატარებით მუდმივი დენის წყაროდან-5, ედება ეპიტაქსიური ფენის-3 რომელიმე წერტილს, ხოლო მეორე ზონდი-2 (“ცივი”) – პირველისგან მოშორებით სხვა წერტილს. ცხელი და ცივი ზონდების შეხების წერტილებს შორის წარმოქმნილი ტემპერატურული გრადიენტი ეპიტაქსიური ფენის დენის თავისუფალი მატარებლების დრეიფს. ამ დრეიფული დენის მიმართულება, რომელიც ფიქსირდება წრედში ჩართული მიკროამპერმეტრით, დამოკიდებულია დენის მატარებლის ნიშანზე. ასე დგინდება ეპიტაქსიური ფენის გამტარებლობის ტიპი. შემთხვევით ცხრილ 1-ში შეტანილია აგრეთვე ინფორმაცია სხვადასხვა მინარევებით ლეგირებისას მიღებული ეპიტაქსიური ფენების გამტარებლობის ტიპის შესახებ.

ფენების ელექტროფიზიკური პარამეტრები (კუთრი წინაღობა, დენის მატარებელთა კონცენტრაცია და ძვრადობა) იზომებოდა ვან-დერ-პაუს მეთოდით. გაზომვებისათვის ვიყენებდით ჩვენს მიერ კონსტრუირებულ კრიოსტატს, რომლის სქემატური გამოსახულება ნიმუშის დამჭერთან ერთად მოცემულია სურ.7-ზე. ნიმუშის -2 დამჭერის მაგიდა -1 წარმოადგენს ტეფლონის ფირფიტას, რომელზედაც განთავსებულია სპილენძის ოთხი საკონტაქტე -3. მათზე ერთის მხრიდან სპილენძის წვრილი მავთულებით მირჩილულია გასაზომი ნიმუშის ოთხი კონტაქტი, ხოლო მეორედან უჟანგავი ფოლადის თხელკედლიან მილში -6 გამავალი სპილენძის სადენებით უკავშირდება სამართავი პულტის ყუთს -7. კრიოსტატს გააჩნია ვაკუუმური გარსაცმი -5 და აზოტისათვის ჭიქა -4, რაც იძლევა გაზომვების ჩატარების საშუალებას აზოტიდან ოთახის ტემპერატურამდე.


მიღებული ეპიტაქსიური ფენების ელექტროფიზიკური პარამეტრების გაზომვის შედეგები წარმოდგენილია ცხრილ 2-ში. როგორც იყო მოსალოდნელი, არალეგირებული $\text{In}_x\text{Ga}_{1-x}\text{As}$ მყარი ხსნარები ხასიათდებიან n- ტიპის გამტარებლობით, ტელური და სელენი გვამლევენ დონორულ

მინარეებს, გერმანიუმი – აქცეპტორულს. მეტად საინტერესოდ იქცევა სილიციუმი. როგორც ცხრილი 1-დანაც ჩანს 940-930 ტემპერატურულ ინტერვალში იგი დონორულ მინარეებს იძლევა, ხოლო უფრო დაბალ ტემპერატურებზე გვევლინება როგორც აქცეპტორი.

სურ.6 ცხელი ზონდის მეთოდი



სურ. 7 აზოტის კრიოსტატი



ცხრილი 2. ეპიტაქსიური ფენების ელექტროფიზიკური პარამეტრები

	მინარევი	გამტარებლობის ტიპი	ჰოლის კოეფ. R სმ ³ /კულ.	n, p სმ ⁻³	ძვრადობა სმ ² /ვ.წმ	კუთრი წინაღობა, ომი.სმ
1.	-	n	0,89	7,0 · 10 ¹⁸	4000	2,3·10 ⁻⁴
2	-	n	1,18	5,3·10 ¹⁸	5800	2,0 · 10 ⁻⁴
3	Te	n	0,52	1,2·10 ¹⁹	3800	1,3 · 10 ⁻⁴
4	Se	n	0,27	2,3·10 ¹⁹	3100	0,9·10 ⁻⁴
5	Ge	p	0,25	2,5·10 ¹⁹	380	6,6·10 ⁻⁴
6	Si	p	0,12	5,4·10 ¹⁹	300	3,8·10 ⁻⁴

7. მიღებულ ეპიტაქსიურ ფენებზე p-n დიოდების და ჰოლის მაგნიტური ველის სენსორის დამზადება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ p-n გადასასვლელების დასამზადებლად დაბალომიანი p-ტიპის გალიუმის არსენიდის საფენზე ჩვენ გავზარდეთ n-ტიპის In_xGa_{1-x}As-ის ეპიტაქსიური ფენა და მივიღეთ nIn_xGa_{1-x}As-pGaAs დიოდი, ხოლო n-ტიპის GaAs-ის საფენზე გავზარდეთ pIn_xGa_{1-x}As-ის ეპიტაქსიური ფენა და მივიღეთ pIn_xGa_{1-x}As-nGaAs დიოდი. გარდა ამისა ჩვენ მივიღეთ p-n გადასასვლელის კიდევ ერთი ვარიანტი pIn_xGa_{1-x}As(Si)-nIn_xGa_{1-x}As(Si)-nGaAs, რომელიც მიიღება სილიციუმით ლეგირებული In_xGa_{1-x}As-ის გაზრდის პროცესში. დიოდის დასამზადებლად აუცილებელი იყო ომური საკონტაქტე მეტალის შერჩევა n- და p - ფენებისათვის. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით [7] p- ტიპის მყარ ხსნარებზე დაბალომიანი ომურ კონტაქტებს იძლევა ოქრო, მაგრამ რადგან ამ მასალის გამოყენება ჩვენთვის მოუხერხებელი იყო, ამიტომ შევეცადეთ მისთვის შემცვლელი მოგვეჩვენა.

ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ n-ტიპის In_xGa_{1-x}As - თან კალა, ხოლო pIn_xGa_{1-x}As-თან ინდიუმი იძლევიან დაბალომიან ომურ კონტაქტებს. კონტაქტების შეღობა ხდებოდა ვაკუუმში 500⁰ ტემპერატურაზე 5 წუთის განმავლობაში. მიღებული კონტაქტების ხარისხი მოწმდებოდა მახასიათებელმზომი ΠHXT-ს საშუალებით.


მიღებული დიოდების ვოლტ-ამპერული მახასიათებლები მოყვანილია სურ. 8-ზე. როგორც ვხედავთ ისინი ბევრად არ განსხვავდებიან ლიტერატურაში ცნობილი დიოდებისგან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გამშვები მიმართულებით ძაბვის ვარდნა პირველი და მეორე მეთოდით დამზადებულ დიოდებზე (4, 5, 6 მრუდები) 5-8 ვოლტია და აღემატება მესამე მეთოდით დამზადებული დიოდების (1, 2, 3, მრუდები) იგივე პარამეტრს, რომელიც 1,5 – 3 ვოლტია. ამასთან ამ უკანასკნელთა გარღვევის ძაბვები მეტია პირველი და მეორე მეთოდით დამზადებულ დიოდებისაზე. ეს შედეგი ჩვენ ავხსენით პირველი და მეორე მეთოდით დამზადებულ დიოდებში უფრო გრძელი გარდამავალი ფენის არსებობით.

შოტკის ბარიერის დასამზადებლად ჩვენ გამოვიყენეთ n-ტიპის GaAs-ის საფენზე გაზრდილი n-ტიპის In_xGa_{1-x}As-ის ეპიტაქსიური ფენა, ლეგირებული ტელურით. საკონტაქტე მასალად ფენისთვის გამოვიყენეთ მეტალური ალუმინი, ხოლო საფენისათვის - კალა. ალუმინის კონტაქტს


ვლებლობდით $\text{In}_x\text{Ga}_{1-x}\text{As}$ –ის ფენაზე ალუმინის ვაკუუმური დაფრქვევის მეთოდით, რომელიც სრულდებოდა დანადგარზე YPH-2. ამ პროცესისას ვიყენებდით სპეციალურ ნილაბს. დაფრქვევის შემდეგ ხდებოდა ალუმინის შეღობა ვაკუუმში 550°C ტემპერატურაზე 10 წუთის განმავლობაში, ხოლო კალის კონტაქტის დატანის წესი ანალოგიურია ზემოთ აღწერილისა. მიღებული ნიმუშების ვოლტ-ამპერული მახასიათებლები სურ. 9-ზე. დადგინდა, რომ სისტემას უდავოდ გააჩნია დენის გამართვის თვისება, მაგრამ ვოლტ-ამპერული მახასიათებლიდან ჩანს, რომ პირდაპირ და უკუ ძაბვებს შორის განსხვავება სასურველზე მცირეა და გარდა ამისა გარღვევის ძაბვაც არაა საკმაოდ დიდი.

მიღებული შედეგი ჩვენ ავსენით იმით, რომ მართალია ალუმინი გვაძლევს გამმართველ კონტაქტს n-ტიპის $\text{In}_x\text{Ga}_{1-x}\text{As}$ -ის ეპიტაქსიურ ფენაზე, მაგრამ მისი დატანის ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდი არაა ოპტიმალური და მოითხოვს დახვეწას.

სურ.8 p-n დიოდების ვოლტ-ამპერული მახასიათებელი



სურ. 9 შოტკის დიოდების ვოლტ-ამპერული მახასიათებელი



ჰოლის მაგნიტური სენსორის დასამზადებლად ჩვენ გამოვიყენეთ ქრომიტა და ჟანგბადით ლევირებულ ნახევრადიზოლირებულ GaAs-ის საფენზე გაზრდილი, ტელურით ლევირებული $\text{In}_x\text{Ga}_{1-x}\text{As}$ -ის ფენა. იგი იყო n-ტიპის გამტარებლობის და ჰქონდა შემდეგი ელექტრო-ფიზიკური პარამეტრები (ოთახის ტემპერატურაზე): ხვედრითი წინაღობა $7,4 \cdot 10^{-4}$ ომი.სმ, ჰოლის კოეფიციენტი $1,16$ სმ³.კულ⁻¹, ელექტრონთა კონცენტრაცია $5,4 \cdot 10^{18}$ სმ⁻³, ძვრადობა 1570 სმ².ვ⁻¹წმ⁻¹. ფირფიტიდან ამოვჭერით $5\text{მმ} \times 5\text{მმ}$ ზომის კვადრატები და მის კუთხეებში, ზემოთ აღწერილი მეთოდით, დავსვით კალის ოთხი დაბალმოძიანი წერტილოვანი ომური კონტაქტი. როცა კონტაქტები სიმეტრიულად არიან დასმული, მაშინ ორ მოპირდაპირე კონტაქტს შორის დენის გატარებისას მათ მიმართ ჯვარედინად მდებარე კონტაქტებს შორის ძაბვა არ ფიქსირდებოდა. ნიმუშზე სიბრტყის მართობული მაგნიტური ველის მოდება, იწვევს რა მოძრავი მუხტების სწორხაზოვანი ტრაექტორიის გამრუდებას, წარმოშობს ამ უკანასკნელ კონტაქტებს შორის პოტენციალთა სხვაობის (ჰოლის ძაბვის) გაჩენას, რაც ფიქსირდება მილივოლტმეტრით. სურ. 12-ზე მოყვანილია ერთი ასეთი ნიმუშისათვის ჰოლის ძაბვის სიდიდის დამოკიდებულება მაგნიტური ველის დაძაბულობაზე (ნიმუშში გამავალი დენის ძალა ტოილი იყო $3,6 \cdot 10^{-2}$ ა-ის. მართალია წარმოდგენილ ნიმუშზე ჰოლის ძაბვა არც თუ ისე დიდია, მაგრამ უფრო სუფთა ფენის გამოყენებისას, რომლის შესაბამისი ელექტრონთა ძვრადობა გაცილებით უნდა აღემატებოდეს აქ განხილულისას, უნდა მოველოდეთ სენსორის მგრძობიარობის მკვეთრად გაზრდას. ასე, რომ საწყისი მასალების სისუფთავის გაზრდით და ტექნოლოგიური პროცესის დახვეწით მოსალოდნელია უფრო მაღალი შედეგების მიღწევა.

8. $\text{In}_x\text{Ga}_{1-x}\text{As}$ -ის სინთეზის საკითხის შესწავლა


როგორც ზემოთ აღინიშნა, $\text{In}_x\text{Ga}_{1-x}\text{As}$ -ის მყარი ხსნარების მისაღებად მრავალი მეთოდი არსებობს,

რომელთაგანაც ოპტიმალურის არჩევა განპირობებულია დასმული ამოცანის მიზნებსა გამოყენების მასშტაბებზე. უწყვეტი მყარი ხსნარების მდგომარეობის დიაგრამა [10-12] გვიჩვენებს, რომ გამყარების პროცესში GaAs-ის და InAs-ის ნაღობიდან GaAs უფრო სწრაფად გადადის InGa_{1-x}As-ის მყარ ფაზაში, ვიდრე InAs, რის გამოც ნარჩენი ნაღობი უფრო მდიდრდება ამ უკანასკნელი კომპონენტით. ამიტომ ჩოხრალსკის მეთოდით [7] InGa_{1-x}As-ის მონოკრისტალების ამოწვევისას სხმულის დასაწყისში ჭარბობს GaAs-ის პროცენტული შემადგენლობა, ხოლო ბოლოსკენ – InAs-ისა. ეს თვისება გამოიყენება ამოწვეული სხმულის გასწვრივ უწყვეტად ცვლადი პროცენტული შემადგენლობის In_xGa_{1-x}As-ის მყარი ხსნარების მისაღებად. ცხადია კვლევების ჩასატარებლად ეს შედეგი მეტად საინტერესოა, მაგრამ რადიაციის მიმართ მდგრადობის თვალსაზრისით ჩვენთვის საჭირო იყო სრულიად გარკვეული შემადგენლობის In_xGa_{1-x}As-ის მყარი ხსნარი [7], [13], სადაც $x=0,3$. ასეთი შემადგენლობის ერთგვაროვანი In_xGa_{1-x}As მეტად მოსახერხებელია აგრეთვე თხიერფაზური ეპიტაქსიის ზემოთაღწერილი პროცესისთვის კაზმის მოსამზადებლად.

ამ მოსაზრებათა გამო ჩვენი ამოცანის მიზანი იყო ერთნაირი შემადგენლობის In_{0,3}Ga_{0,7}As-ის სინთეზის შესწავლა. ამისათვის ჩვენს მიერ კონსტრუირებული და აწყობილი იქნა დანადგარი, რომელიც წარმოდგენილია სურ. 10-ზე.


იგი წარმოადგენს ლუმელს (2), რომელშიც გადის დენი ტირისტორების (7), ავტოტრანსფორმატორის PHO-40 (4) და ტრანსფორმატორის OCY -20 (6) გავლით. ლუმელში შეყვანილია ორი პლატინა-პლატინაროდუმიის თერმოწყვილი. ერთი თერმოწყვილი –(5), რომელიც ლუმელის სახურავში (3) დატანებული ხვრელიდან შედის მის სიღრმეში და განთავსებულია კაზმის უშუალო მახლობლობაში და მეორე - შეყვანილი ლუმელის ცენტრალურ ნაწილში დაკავშირებულია ტემპერატურის მარეგულირებელ მოწყობილობასთან (8), რომლის ჩვენების მიხედვითაც მარეგულირებელი აწოდებს სიგნალს ტირისტორების მმართველ ელექტროდებს, რაც იწვევს ძაბვის ჩართვას ან გამორთვას ავტოტრანსფორმატორზე. 5-თერმოწყვილის ჩვენებები აღირიცხება მილივოლტმეტრზე – 9, ხოლო ლუმელის ხვიებში გამავალი დენი იზომება ამპერმეტრის – 1 საშუალებით.

GaAs და InAs ბინარული ნაერთები მიეკუთვნებიან სფალერიტის სტრუქტურას, აქედან გამომდინარე მათ საფუძველზე მიღებული GaInAs მყარი ხსნარის კრისტალური მესრის პარამეტრი დამოკიდებულია GaAs და InAs -ის კონცენტრაციების ცვლილებაზე და ვეგარდის კანონის საფუძველზე იცვლება. მისი მნიშვნელობა მერყეობს $a=5,64_{\text{GaAs}} A^0$ და $a=6,048_{\text{InAs}} A^0$ შორის. GaAs და InAs შორის სინთეზის და შემდგომი გამოწვის შემდეგ რენტგენოგრაფიაზე მიღებული დიფრაქციული მრუდები თანდათანობით ერთმანეთს უახლოვდება და გარკვეულ მომენტში ხდება მათი გაერთიანება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ჩამოყალიბდა ერთიანი მყარი ხსნარი GaInAs. ჩვენს მიერ მიღებულ დიფრაქტოგრამაზე ასეთ გაერთიანებას ადგილი არა აქვს. დიფრაქტოგრამაზე დაიმზირება შემდეგი სიგნალები: N4- GaAs G(111) , N5- GaAs (200) N9- GaAsA(220) , N3- InAs(111) ; N8- InAs (220) ; N10- InAs (311) ; ასევე ჩანს ცალკე, In-ის სიგნალებიც: 6 და 7. ისინი ნაკლებად მკვეთრად არიან გამოხატული, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ. თუ დავაკვირდებით დიფრაქტოგრამაზე მიღებული GaAs - ის და InAs - ის დიფრაქტის კუთხეების მნიშვნელობებს შევნიშნავთ, რომ მათი სიდიდეები გარკვეული კანონზომიერებით განსხვავდება სუფთა მდგომარეობაში არსებული GaAs და InAs დიფრაქტაციის კუთხეების მნიშვნელობებისგან. ეს კანონზომიერება იმაში გამოიხატება, რომ ექსპერიმენტულად მიღებული GaAs - ის კუთხეების მნიშვნელობები ყოველთვის უფრო ნაკლებია სუფთა GaAs კუთხეების მნიშვნელობებზე, ხოლო InAs-ის კი - მეტი. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნით, რომ GaAs-ის და InAs-ის სინთეზის პროცესი




დაწეებულია, ანუ მანძილები სიგნალებს შორის მცირდება, რაც მთლიანად პასუხობს ვეგარდის კანონს. გამოწვის შემდგომი რეჟიმის შერჩევას ადგილი უნდა ჰქონდეს დიფრაქციული სიგნალების კიდევ უფრო დაახლოებას და შემდგომ მათ შერწყმას GaInAs-ის ერთ სიგნალად. რეჟიმის შერჩევას შეიძლება მოხდეს InAs და GaAs -ის კრისტალური მესერების შერწყმა და InGaAs -ის კრისტალების წარმოქმნა. შესწავლილი უნდა იქნას როგორც ნელი ისე სწრაფი გაცივების რეჟიმები.

სურ.11 InAs-GaAs ნალოობის დიფრაქტოგრამა გადაღებული DRON 1-ზე



სურ.12 ჰოლის ძაბვის დამოკიდებულება მაგნიტური ველის დაძაბულობაზე ჰოლის სენსორისთვის



დასკვნები:

1. კონსტრუირებული და აწყობილ იქნა თხიერფაზური ეპიტაქსიის დანადგარი;
2. დამზადებულ იქნა კვარცის რეაქტორი და გრაფიტის კონტეინერები საფენების სათავსოებითა და ავზებით კაზმებისთვის;
3. გამოთვლილი და აპრობირებული იქნა კაზმების კომპონენტთა წონითი თანაფარდობები სხვადასხვა პარამეტრების ფენების მისაღებად;
4. აწყობილ იქნა კრიოსტატი და ვან-დერ-პაუ-ს მეთოდით გაზომილ იქნა ფენათა ელექტროფიზიკური პარამეტრები;
5. შეირჩა საკონტაქტე მეტალები და დადგინდა ფენებზე ომური კონტაქტებისა და შოტკის ბარიერების მიღების ტექნოლოგიური რეჟიმები;
6. დამზადებულ იქნა p-n გადასასვლელები შოტკის ბარიერები და ჰოლის მაგნიტური ველის სენსორები;
7. გადაღებულ იქნა დამზადებული ხელსაწყოების მახასიათებლები და გამოითქვა მოსაზრებები მათი პარამეტრების გაუმჯობესების თაობაზე;
8. შესწავლილ იქნა GaAs-ის და InAs-ის უშუალო შელლობით $In_{1-x}Ga_xAs$ -ის მყარი ხსნარების სინთეზის საკითხი.

ლიტერატურა

- [1] N.P. Kekelidze, G.P.Kekelidze, Z.D.Makaharadze. Lattice vibration of $InP_{1-x}As_x$ solid

solutions. J. Phys.chem. sol. v. 34 pp. 117-126. 1973

[2] N Kekelidze, D.Kekelidze, E.Khutsishvili, B.Kvirkvelia, L.Nadiradze. The effect of mutual compevsacion of radiacion donors and acceptors in semiconductors. Proc. of the Internacional Conferense: “Modern technologiien and Methods of Inorganic Materials Science”. April 20-24, 2015 Tbilisi. Georgia, pp. 197-201, 2015

[3] Panish M.B.,Ilegems M. Progress in Solid State Chemistry. v.7, Oxford, p.39. 1972

[4] , 365. 1967

[5] Abrahams M.S. J.Phys. Sol. Chem. 10, 204.1959

[6] Wu T.Y., Pearso G.L., J. Phys Chem. Sol., 33, p.409. 1972

[7] III-V ნახევარგამტარული ნაერთების მყარი ხსნარების ფუძეზე რადიაციულად მდგრადი ოპტიკური ელექტრული და თერმოელექტრული მასალების მიღება და გამოკვლევა. ლაბ №6-ის 2015-2016წწ ანგარიში. ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი. 2016

[8] Т.Д.Камушадзе. Кандидатская дисертасия „Электрофизические и фотоэлектрические свойства р-п-і-п⁺ структур на основе полуизолирующего GaAs : Cr,O”. Тбилиси. 1981

[9] А.А.Шленский. Кандидатская дисертасия ГИРЕДМЕТ Москва, 1974.

[10] N.Kekelidze, B.Kvirkvelia, D.Kekelidze, E.Khutsishvili, G.Kekelidze. Phenomenon of Mutual Compensation of Radiation Donors and Acceptors and Creation of Radiation - Resistant Materials. J. of Electrical Engineering, 2, #4, pp.187-192. 2014

[11] Van Hook H.J., Lenker E.S., Trans. TMS-ALME, 227, 210, 1968

[12] Wooley I.C., Smith B.A., Proc. Phys. (Londer), 72, 214, 1958

